# ნაკადული

ეროვნული ბიბლიოთეკა

140
2004 №2



თბილისის მე-10 საშუალო სკოლა







ცაერო საშუალო სკოლა-კომპლექსი „საღუნი"

# საქართველოს მომავალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის მე-10 საშუალო სკოლა



I კლასი, ხელმძღვანელი
ნანა მინაშვილი



II კლასი, ხელმძღვანელი
ნორა ნუცუბიძე



ვახტანგ ბერულავა,
ლუკა ვახანია



I კლასი, ხელმძღვანელი
ცირა ხუციშვილი

# ნაკადული

საყმაწვილო ჟურნალი
2004 წ. № 2

ჩვენი ჟურნალი 1904 წელს სასიქადულო მამულიშვილთა მეცადინეობით დაარსებული პირველი ქართული საყმაწვილო ჟურნალის ნაფუძარზე ამოზრდილი. მოგვიანებით მას სახელი შეეცვალა და „პიონერი“ ეწოდა, 1990 წლიდან კი იგი კვლავ თავისი პირვანდელი სახელით გამოდის.

## ნომრის შინაარსი

„ნაკადულის“ საინფორმაციო სააგენტო „ფაქტი“ ---------- 2
„სადუნი“ – მომავლის სკოლა ---------- 3
გიორგი შატბერაშვილი – საუკუნის საგზალი (მოთხრობა) ---------- 5
მსოფლიო კიდით კიდემდე ---------- 12
„ოდოშხერი“ ---------- 13,18,27
მეგობრობისთვის გაწვდილი ხელი ---------- 14
იარაღის ისტორიიდან (ბიჭების გვერდი) ---------- 16
თუ გინდა, რომ ყველა შემოგნატროდეს (გოგონების გვერდი) ---------- 17
თუ გული გულობს... ---------- 19
ნეტავ რას ვერჩით ქამელეონს? (ბუნების კარი) ---------- 22
ვინ ხარ შენ? (ტესტი) ---------- 26
კომიქსი ---------- 28
სიცილის გაკვეთილი ---------- 31
იწილო-ბიწილო ---------- 32

რედაქტორი
მანანა გელაშვილი

მისამართი: 380008, თბილისი, კოსტავას ქ. 14
ტელეფონები: 93-31-81; 93-18-84.
ინდექსი: 76157
ფასი 1 ლარი
რეგისტრირებულია მთაწმინდის სასამართლოში

ეროვნული ბიბლიოთეკა



# „ნაკადულის" საინფორმაციო სააგენტო „ფაქტი"



## თბილისის №1 გიმნაზიას კვლავ მოსკოვის მერია დაეხმარება

რამდენიმე წლის წინათ თბილისის ომის დროს სერიოზულად დაზიანებული №1 გიმნაზიის შენობის აღდგენით-სარეკონსტრუქციო სამუშაოების დაფინანსება თავის თავზე მოსკოვის მერიამ აიღო. ცნობილი გახდა, რომ იური ლუჟკოვი მზად არის დააფინანსოს გიმნაზიის მეორე ფლიგელის მშენებლობა და მთავარი შენობის დამატებითი სარემონტო სამუშაოები, რომლებიც ითვალისწინებს 6 ათას კვ.მ. ფართობის სახურავის გადახურვას, ბუნებრივი აირის მილსადენის დამონტაჟებას, ფასადის შეკეთებას. სულ რუსეთის მერიამ თბილისის №1 გიმნაზიის დასახმარებლად 170 ათასი დოლარი გადმორიცხა.

## ნეკა სებისკვერაძე სტუმრად სარეაბილიტაციო ცენტრში

ბორჯომის ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრს სტუმრად ეწვივნენ მომღერალი ნეკა სებისკვერაძე, „მელოდია არტის" წარმომადგენელი თიკა რუხაძე და მათი მეგობრები, რომლებმაც პატარები აუქციონზე შემოსული თანხით შეძენილი საჩუქრებით გაახარეს. ვინაიდან აუქციონზე საკმაოდ სოლიდური თანხა შეგროვდა, მოხერხდა ბავშვებისთვის საკვების სამაო მარაგის, ტანსაცმლის, მუსიკალური ცენტრის, ტელევიზორის, სახატავი რვეულების, ფლომასტერების ყიდვა. ცხადია, საჩუქრებმა ძალიან გაახარა პატარებიც და სარეაბილიტაციო ცენტრის თანამშრომლებიც, მაგრამ ყველაზე მეტად მათ „ცოცხალ" მომღერლებთან შეხვედრით ისიამოვნეს.

## ქართული ენის პროგრამას ძალზე ცოტა მოსწავლე ითვისებს

მას შემდეგ, რაც მეცხრეკლასელთა შარშანდელმა გამოცდამ აჩვენა, რომ მოსწავლეთა უმრავლესობა სასკოლო პროგრამების მინიმუმსაც კი ვერ ფლობს, გადაწყდა საფუძვლიანად გადათვალიერებულიყო დაწყებითი კლასების სასწავლო პროგრამა და სახელმძღვანელოები. განათლების სამინისტროს გამოცდილებისა და შეფასების ცენტრის ექსპერტთა ჯგუფმა არსებული ხარვეზების გამოსავლენად საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ექვს ათასზე მეტ მოსწავლეს სპეციალური ტესტური გამოცდა ჩაუტარა წერა-კითხვაში, ლექსიკასა და გრამატიკაში. ტესტირების შედეგებს უნდა ეჩვენებინა, რამდენად სრულყოფილად ითვისებდნენ ჩვენი მოსწავლეები სასწავლო პროგრამებს. ყველაზე უარესი შედეგები გრამატიკასა და მართლწერაში გამოვლინდა. გამოცდის შედეგების ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ ქართული ენის არსებულ პროგრამას სრულყოფილად ბავშვების მხოლოდ რვა პროცენტი თუ ითვისებს, ეს მაშინ, როცა ეს მაჩვენებელი 75 პროცენტს უნდა შეადგენდეს.

ფსიქომეტრული ანალიზის შედეგების საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით შემუშავდება სასწავლო პროგრამის ახალი სახელმწიფო სტანდარტი.

## ნორჩ ფეხბურთელთა ტურნირი

საბურთალოს მოზარდთა და ბავშვთა საფეხბურთო სკოლის სტადიონზე ჩატარებულ რაიონის ღია პირველობაში, რომელშიც 1992 წელს დაბადებულთა 12 გუნდი მონაწილეობდა, ყველას დიღმის ოლიმპიური მომზადების ცენტრის ფეხბურთელებმა აჯობეს. ფინალურ მატჩში მათ 4:1 დაამარცხეს გუნდი „არეალი". ტურნირის საუკეთესო მეკარედ გამარჯვებული გუნდის წევრი სანდრო ლეშჩენკო დაასახელეს, საუკეთესო მცველის პრიზი მურმან გაფრინდაშვილმა დაიმსახურა, საუკეთესო თავდამსხმელისა — რომეო გელენიძემ, ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი ოლიმპიური მომზადების ცენტრის გუნდის თავდამსხმელი გიორგი ვაშაკიძე გახდა, რომელმაც მეტოქეთა კარში 15 ბურთი გაიტანა, მასვე ერგო ტურნირის საუკეთესო მოთამაშისთვის დაწესებული პრიზიც.

# „სადუნი“ – მომავლის სკოლა

როგორც კი საერო საშუალო სკოლა-კომპლექს „სადუნის“ ზღურბლს გადააბიჯებთ, უჩვეულოდ ხალისიან და ლამაზ გარემოში მოხვდებით და უმალ იგრძნობთ, რომ ახალი ტიპის სასწავლებელში მოხვდით, ხოლო თუ იმის საშუალებაც მოგეცემათ, რომ ცალი თვალით მაინც შეიჭყიტოთ საკლასო ოთახებში, ყური მიუგდოთ და თვალი შეავლოთ იმას, რასაც გოგო-ბიჭები აკეთებენ თავიანთ მასწავლებლებთან ერთად, ჯერ გაგიკვირდებათ, გაგიხარდებათ, მერე კი შეგშურდებათ, რომ თქვენმა საკუთარმა ბავშვობამ სულ სხვაგვარ სკოლაში ჩაიარა. ძირითადად



„სადუნშიც“ იგივე საგნებს ასწავლიან, რასაც სკოლების უმრავლესობაში: მშობლიურ ენასა და ლიტერატურას, უცხო ენებს, მათემატიკას და ა.შ. მაგრამ მთავარი საგანი აქ დამოუკიდებელი აზროვნებაა, ეს იდეა ჩაიდო თავიდანვე მის შექმნაში, იდეის ავტორი და მისი მთავარი სულისჩამდგმელი კი ქალბატონი მარინა ცინცაძე გახლავთ. 20 წელი მუშაობდა ქალბატონი მარინა მასწავლებლად, ჩვეულებრივ საშუალო სკოლაში ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა და თან დირექტორის მოადგილე იყო საორგანიზაციო დარგში, მოგვიანებით კი სასწავლო პროცესს უძღვებოდა. ამ ხნის განმავლობაში დიდი გამოცდილება დაუგროვდა, ბევრი რამ ისწავლა, მაგრამ ამასობაში ისიც თვალნათლივ გამოიკვეთა, რაც არ მოსწონდა საერთოდ ჩვენს განათლების სისტემაში, – სასწავლო პროგრამები, ბავშვების დიდი რაოდენობა თითო კლასში, ესთეტიკური ციკლის უქონლობა, რომელიც ხელს უნდა უწყობდეს ბავშვის ჩამოყალიბებას და სხვ. სულ იმაზე ოცნებობდა, საშუალება რომ მისცემოდა, როგორ წარმართავდა ბავშვებთან მუშაობას. დრომ მოიტანა და ასეთი საშუალება მიეცა – 199-ე ბაღის გამგეობა შესთავაზეს და სიამოვნებით დათანხმდა, რადგანაც იმედი ჰქონდა, რომ საკუთარი ჩანაფიქრის განხორციელებას შეძლებდა, მაგრამ ამასობაში თბილისშიც და მთელ საქართველოშიც ისეთი ამბები დატრიალდა, რომ ყველაფერი გაპარტახდა და გატიალდა. ქალბატონ მარინას ხელში მხოლოდ საბავშვო ბაღის კედლები შერჩა, არა სკამი, არა მაგიდა, სხვაზე ხომ ლაპარაკიც არ იყო, ყველაფერი შესაცვლელი დახვდა, საკანალიზაციო მილებიც კი, არ არსებობდა გათბობის სისტემა. სხვა მის ადგილზე ფარხმალს დაყრიდა და სხვა საქმეს მოჰკიდებდა ხელს, მაგრამ მარინა ცინცაძე წინ თავის საოცნებო სკოლას ხედავდა და არაფერს შეეპუა, უკან არ დაიხია. ამასობაში შენობა-ნაგებობების იჯარით გაცემა დაიწყო და ახალმა სირთულეებმა იჩინა თავი. მაშინ განათლების მინისტრი ბატონი კოტე გაბაშვილი იყო და ქალბატონმა მარინამ ბაღის ბაზაზე პირველი კლასის გახსნის ნებართვა სთხოვა. ყველაფერი გააკეთე, რათა ბაღი გადაარჩინო – ასეთი იყო მინისტრის პასუხი.

მართლაც ყველაფერი გააკეთა და სკოლის გახსნაზე ზრუნვაც უკვე რეალურად დაიწყო. ძირითადი ჩანაფიქრი ასეთი იყო – ახალ საქართველოს მრავალმხრივ განათლებული, მოაზროვნე ადამიანები სჭირდება და შესაბამისად, სკოლის პროგრამაც ამაზე უნდა ყოფილიყო ორიენტირებული. ამ სკოლაში მოსულ ბავშვებს პირველ რიგში უნდა ესწავლათ დამოუკიდებლად აზროვნება, რთული გადაწყვეტილებების მიღება, უცხო ენები, მათემატიკა, ესთეტიკა, ურთიერთობა.

სულ მალე დიდუბეში, წერეთლის გამზირზე ამოქმედდა საბავშვო ბაღი „სადუნი“, სადაც პატარებს ახალი, სხვებისაგან განსხვავებული სტილითა და პროგრამით ასწავლიდნენ. ამ სტილმა და პროგრამამ მეტად მომხიბვლელი



იდეა შვა – „სადუნი“ ბაღი-სკოლა გამხდარიყო, რათა ბავშვებთან ადრეულ ასაკში დაწყებული მუშაობა იმავე ოთხ–შემეცნებითი, ფიზიკური, სოციალური და სულიერი აღზრდა-განათლების პრინციპზე დაყრდნობით გაგრძელებულიყო და შექმნილიყო ერთიანი კომპლექსი. იდეამ სულ მალე შეისხა ხორცი, ხოლო მას შემდეგ განვლილმა ხუთმა წელმა აჩვენა, რამდენად სწორი გეზი აიღეს მარინა ცინცაძემ და მისმა თანამოაზრეებმა. „სადუნში“ მისული 2,5 წლის გოგო-ბიჭები აქვე გადიან სწავლა-აღზრდის მთელ ციკლს და თანამედროვეობის მოთხოვნილებათა შესაბამისი ცოდნითა და უნარ-ჩვევებით შეიარაღებულები შეაბიჯებენ ცხოვრების დიდ გზაზე. თავიდან სკოლაში ორი კლასი იყო, ახლა კი 0-დან მეშვიდემდე სამ-სამი ანუ სულ ჩვიდმეტი კლასია. ბაღის აღსაზრდე-

გაგრძელება მე-4 გვ.

23272



საქართველოს პარლამენტის

ლებიანად კომპლექსში დღეს 700 ბავშვი სწავლობს. თითო ჯგუფში საშუალოდ 18 მოსწავლეა. სწავლება მიმდინარეობს გოგებაშვილისეულ და ქართულ ეროვნულთან შეჯერებული ევროპისა და აზიის ქვეყნების თანამედროვე განათლების პროგრამებით, სწავლების ხერხებით და საშუალებებით. ყველა უცხოური პროგრამა იგივე ი. ივიჩის პროგრამა, საყოველთაოდ ცნობილი „ნაბიჯ-ნაბიჯ" და სხვები საქართველოს სახელმწიფო და ეროვნულ ინტერესებზეა მორგებული. მასწავლებლები ძირითადად ახალგაზრდები არიან, მათთან მიმდინარეობს სისტემური მუშაობა, კონსულტაციები, ტრენინგები. რეგულარულად ტარდება პედაგოგიური კვლევის საათი, რომლის დროსაც ხდება გარკვეულ პერიოდში გაწეული მუშაობის გაანალიზება, გამოცდილების გაზიარება. ისე რომ ძველი ლოზუნგი, – რომ ასწავლო უნდა იცოდე, რომ იცოდე, უნდა ისწავლო ძალაში რჩება და მასწავლებლებიც, იმისათვის, რომ მოსწავლეებს ასწავლონ, თვითონაც სულ სწავლობენ.



პროგრამული სწავლება ბაღში, ხუთი წლის ასაკიდან იწყება და მერე სკოლაში გრძელდება. ერთიან სინთეზურ საგანმანათლებლო სასწავლო პროცესში მოქცეული გაკვეთილები დილის 10 საათზე იწყება და ბავშვები საღამოს 6 საათამდე რჩებიან ვინ ბაღში, და ვინ – სკოლაში. დღის პირველ ნახევარში 10-დან 2-მდე მიმდინარეობს სწავლება, რომელიც მიმართულია დამოუკიდებელი, კრიტიკული აზროვნების განვითარებისკენ, წიგნიერებისკენ. მერე სადილია, ნასადილევს კი ბავშვებთან უკვე პედაგოგ-კოორდინატორები იწყებენ მუშაობას, თითოეულ მათგანს თავთავისი პროექტები აქვს, რომელთა მიხედვითაც ხდება გაკვეთილზე მიღებული ცოდნის გაღრმავება-დახვეწა, ამ პროცესში ფართოდ გამოიყენება ვიდეომასალები, წიგნები, საცნობარო ლიტერატურა, სახვითი ხელოვნების ნიმუშები და ფილმები.



„სადუნში" ბავშვი საბავშვო ბაღიდან, ნაბიჯ-ნაბიჯ იწყებს იმის გაცნობიერებას, თუ ვინ არის ის, ვინ იყვნენ მისი წინაპრები, საიდან მოდის მისი გვარი, რომელია მისი მშობლიური სოფელი, ქალაქი, უბანი. პატარებს რელიგიას ისტორიულ ასპექტში, მეფეებთან, გმირებთან, სამშობლოსთვის თავდადებულ რაინდებთან მისადაგების გზით ასწავლიან, მოგვიანებით კი რელიგიას უკვე სხვაგვარად აწვდიან. ყველა პროექტში ჩართულია გასვლითი ღონისძიებები, ექსკურსიები, საგამოფენო დარბაზების, მუზეუმების დათვალიერება და სხვ.

ყოველი სემესტრის ბოლოს ტარდება შემაჯამებელი წერები, ტესტირებები, ცოდნის შეფასება ხდება ქულების მიხედვით და არა ნიშნებით, შესაბამისად არც ტრადიციული საკლასო ჟურნალები არსებობს, სადაც საზოგადოდ ნიშნები იწერება. თითოეულ ბავშვზე შემოღებულია ე.წ. პორტფოლიო, რომელშიც თავს იყრის ყველა მონაცემი წლის განმავლობაში, ბავშვის თვითშეფასების ჩათვლით. ასე რომ, ყოველ მშობელს საშუალება აქვს თვალი გაადევნოს საკუთარი შვილის სწავლის მიმდინარეობას.

„სადუნში" დიდი ყურადღება ექცევა ბავშვების ესთეტიკურ აღზრდას. პატარებს ბაღიდანვე ასწავლიან თითის თოჯინებით მუშაობას (როგორც გვითხრეს, ეს კალიგრაფიისთვისაც კარგი ყოფილა), თეჯირიც საკუთარი აქვთ და თოჯინებიც. პირველი სპექტაკლისთვის პიესა ცირა ქიტიაშვილმა დაუწერა – „სამი ციკანი", მერე „ბატის ჭუკიც" დადგეს, არაჩვეულებრივი სპექტაკლები გამოუვიდათ. ვაჟთა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა, რომელსაც ასევე „სადუნი" ჰქვია, შარშან ბავშვთა ანსამბლების დათვალიერებაში გრანპრი დაიმსახურა და წლის ბოლოს გამართულ გალაკონცერტში მონაწილეობის უფლება მოიპოვა. ღვაწლმოსილი ხელოვანი ვენერა მჭედლიშვილი პატარებს ჩონგურზე დაკვრას და სიმღერას ასწავლის, მხატვრული კითხვის პედაგოგად კი ცნობილი მსახიობი მარლენ ეგუტია ჰყავთ მიწვეული. შარშანწინ მოზარდ მაყურებელთა თეატრის სცენაზე „სადუნის" მოსწავლეებმა ვაჟა-ფშაველას „სათაგურის" მიხედვით დადგმული მიუზიკლის პრემიერა წარმოადგინეს და დიდი მოწონება დაიმსახურეს. იგივე სპექტაკლი აჩვენეს მათ ბორჯომში გამართულ სასკოლო თეატრების ფესტივალზე და გრანპრი მოიპოვეს. თავი ისახელა გოგონათა კაპელამაც (ხელმძღვანელი კლარა კეჟერაშვილი), რომელიც წელს პირველად წარდგა ცალკე კონცერტით. სადუნელები დიღმის ბავშვთა სახლის აღსაზრდელებთან მეგობრობენ და დროდადრო სტუმრადაც ეწვევიან ხოლმე მათ. წინასაახალწლო დღეებში მათ პატარ-პატარა საჩუქრები მოუმზადეს თანატოლებს და თვითონვე გადასცეს ისინი.

ასე ცხოვროს „სადუნი", მომავლის სკოლა, რომლის აღზრდილებმაც ხვალ-ზეგ საქართველოს ბედი უნდა ჩაიბარონ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი შატბერაშვილი

# საუკუნო სამზალი

## მოთხრობა

ცენზურიდან „ივერიის“ ახალი ნომრის დაგვიანება კარგს არაფერს მოასწავებდა. რედაქციაში ყველა ღელავდა, ღელავდა თავისებურად... იაკობ მანსვეტაშვილი თავჩაქინდრული იჯდა თავის მაგიდასთან და ხანდახან ქვეშ-ქვეშ თუ გახედავდა კარს. მას თავის დამცირებად მიაჩნდა წუთიერი გრძნობის გამომჟღავნება, ქვის კაცივით დუმდა. დუმდნენ სხვა თანამშრომლებიც. ისინიც ხან ქუჩიდან შემოსასვლელს გახედავდნენ, ხან რედაქტორის კაბინეტის დახშულ კარს.

მხოლოდ მორგვივით ჩაფსკვნილი, მაგრამ საოცრად მოძრავი გიგა ყიფშიძე ვერ ისვენებდა ერთ ადგილას, ეს დუმილი თითქოს ყელში მარყუჟივით უჭერდა, ახრჩობდა. წინ და უკან დადიოდა, მერე შეჩერდებოდა, რაღაცას წამოიძახებდა ხელს ჩაიქნევდა...

უკვე პირველი საათი იწყებოდა, რედაქტორს კი ჯერ თავისი კაბინეტიდან არ გამოეხედა. არც ეს იყო კარგი ნიშანი. ალბათ საფრთხეს ისიც გრძნობდა და ოთხკედელშუა ჩუმად ბდღვინავდა.

უცებ გიგა ყიფშიძემ წამოიძახა:

– ვერ გამიგია, რას გაჩუმებულხართ... როდემდის უნდა ვითმინოთ იმ გადაგვარებულის თავხედობა?

ის ამ სიტყვებით თითქოს ყველას მიმართავდა, მაგრამ მხოლოდ თავჩაღუნულ მანსვეტაშვილს უცქერდა აბრიალებული თვალებით.

იაკობს თავი არც აუწევია, წყნარად თქვა:

– ვასრულებთ ჰორაციუსის რჩევას: მძიმე წუთებში მოთმინებას და სიმტკიცეს ვიჩენთ!

– ჰორაციუსი... რა დროს ჰორაციუსია! – დაიჭექა გიგამ. – ესეც არ იყოს, განა რუსთაველმა უფრო ადრე არა თქვა: ჭირსა შიგან...

– მოიცა, მოიცა, – ღიმილით გააწყვეტინა იაკობმა, – კარგად გავიხსენოთ, მგონი დაგიჭირე...

– წადი და შენვე შეამოწმე, რომელი ადრე ცხოვრობდა... განა ახლა ამისთვის გვცალია?! თუმცა შენ ბედნიერი კაცი ხარ, ცხოვრებაში ყველაფერს ისე უყურებ, როგორც სანახაობას, ცნობისმოყვარის თვალით.. ესეც იმიტომ, რომ მერე უბის წიგნაკში შეიტანო და... შთამომავლობას გადასცე. მე კი, აბა შემომხედე, ვიხრჩობი!

და თითქოს მართლაც იმის დასადასტურებლად, რომ ჰაერი არ ჰყოფნიდა და იხრჩობოდა, გიგა ყიფშიძემ კარი ხმაურით გააღო და გარეთ ჩქარი ნაბიჯით გავიდა.

იაკობმა თვალი ღიმილით გააყოლა, ჯიბიდან გაცრეცილი წიგნაკი ამოიღო და რამდენიმე წუთის განმავლობაში შიგ რაღაცას იწერდა.

წერა ხმაურმა შეაწყვეტინა. რედაქტორის კაბინეტის კარი გაიღო. ღია კარიდან ჯერ ბოლქვაბოლქვად შეკრული პაპიროსის კვამლი გამოვარდა, მერე ტყვიისფერ ნისლში რედაქტორის მწყრალი სახე გამოიკვეთა.

– არ მოუტანიათ?

– არა, ბატონო ილია, ალბათ იმ შეჩვენებულმა ისარლოვმა რაღაც საბილოს მიაგნო.

იაკობმა წიგნაკი ჯიბეში ჩაიდო და ფეხზე წამოდგა.

– დასწყევლოს ღმერთმა, კიდევ კი არ დაგვიჩეხოს გაზეთი.

– ჰო, თქვენი მოწინავე ცოტა არ იყოს...

ილიამ თანამშრომლებს თვალი მოავლო, ვიღაცას ეძებდა. მერე უმცროს თანამშრომელს მიუბრუნდა":

– გარეთ გაიხედე, გიგა ყიფშიძე სადმე მონახე და ახლავე ცენზურაში გააგზავნე, იმ წყეულთან მოგვარიგოს, თორემ... თუ ფეხი ავიდგი, მე თვითონ მივალ და არ ვიცი რა ამბავს დავაწევ!

თანამშრომელი გავიდა. იაკობი ისევ დაჯდა. ილია შუბლშეკრული იდგა ფანჯარასთან და პაპიროსს ეწეოდა.

„არა, როდემდის უნდა გაგრძელდეს ასე... დღემუდამ, ყოველ ნაბიჯზე ერთი და იგივე... – ფიქრობდა იგი, – ერთი წუთიც კი არა გვაქვს ბედნიერი კაცური ცხოვრებისა“.

– ხომ არავინ მიკითხა?

– დავით ბარათაშვილი გახლდათ.

– მართლა?

ილიას გაეღიმა.

– ბატონო ილია, მეტი აღარ შემიძლია, სული ამომხადა თავისი უნიჭო ლექსების კითხვით..

– საცოდავი, ჩემთან ვერ ბედავს ლექსების გამოჩენას... ეჰ, ამაზეა ნათქვამი, ერთი ხიდამ ბარიც გამოვა და ნიჩაბიცო. ჩვენი დიდებული ნიკო ბარათაშვილის შემდეგ ეს დავითი რაღა მოსაგონი იყო?

ილიამ სიამოვნებით გაგრძელება მე-6 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოიფშვნიტა ხელები. ასე იცოდა, როცა ნათქვამი კარგი გამოუვიდოდა: გული და გონება გაეხსნებოდა და წუთით დღიურ საფიქრალს ივიწყებდა.

— დღეს სადილად ილიასთან ვარ დაპატიჟებული... ეტყობა, დილიდანვე ემზადება!

— ჰო, ხანდახან ნარდით ვერთობით. — მორცხვი ღიმილით თქვა ილიამ. — არც ისე აბრუგასატეხი კაცია, როგორც ჩვენ ავიგდეთ... ბორჩალოელი ბარათაშვილების ჩამომავალი და დიდი მემამულეა. მარტო ერთგან ათი ათასი კაკლის ხე უდგას.

— რა ვიცი, ჯიბე მაინც მუდამ გაფხეკილი უჩანდა... თუ კამათელიც ისეთივე მჩატე აქვს, როგორც ლექსები... — გამომწვევად ანიშნა იაკობმა.

ილია ამ სიტყვებზე ჩაფიქრდა, კილოკავით ნათქვამი ენიშნა, ხითხითი აუტყდა:

— რაო, თავისი ჯიბეების შემსუბუქებას ჩემს კამათელს ხომ არ აბრალებს?

— იცით რა თქვა, ბატონო ილია... სწორედ ასე თქვა: კაცო, მგონი, ეს ილიას სადილები ძალიან ძვირი მიჯდებაო!

— ხა,ხა, ხა... მიხვდა? — ახლა კი ხმამაღლა გადაიხარხარა ილიამ. — მიხვდა? ... კიდევ კარგი, რომ მიხვდა!

ხარხარებდა, ახველებდა, შუბლზე ოფლს იწმენდდა ილია. რედაქციაში ყველა იცინოდა მანსვეტაშვილის გარდა. ის კეთილი, კმაყოფილი ღიმილით შეჰყურებდა რედაქტორს, თავის უბის წიგნაკზე თუ ფიქრობდა, რომელსაც მართლაც ხვავიანი დილა გასთენებოდა.

ილიას ხველა და ხარხარი ერთად შეუწყდა.

— უჰ, აგაშენათ ღმერთმა, კარგად არ მაცინეთ ამ ჯავრიან გულზე!.. კიდევ ხომ არავინ ყოფილა?

— ის დრამატურგი იყო... შემოივლის.

ილიამ შუბლი შეიჭმუხნა. კვლავ ჩაფიქრდა. როგორც ჩანდა, დღეს ბევრი უსიამოვნება იყრიდა ერთად თავს... ისე კი ილია კარგა ხანია ემზადებოდა ამ აბეზარი ავტორისათვის გულღია აღსარების სათქმელად.

— მოვიდეს... — კიდევ რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ამ დროს რედაქციის კარი ხმაურით გაიღო და ოთახში ქოშინით შემოვარდა გიგა ყიფშიძე. ხელში „ივერიის“ ახალი ნომრის ამონაბეჭდი გვერდები ეჭირა. უკან გუნებაწამხდარი თანამშრომელი მოსდევდა. გიგა პირველსავე სკამზე მოწყვეტით დაეშვა და ამოიხვნეშა.

— რა იყო, გიგა, რა მოხდა?

თითქოს ამ შეკითხვას ელოდაო, გიგა ფეხზე წამოხტა, წინ და უკან სიარული დაიწყო, ქაქანებდა და ქოთქოთებდა, ამონაბეჭდებს აფრიალებდა.

— არაფერი ადამიანური არ გააჩნია, არა... საიდან არ მოვუარე, რა არ ვუთხარ, რა არ ვუმტკიცე, დავემუქრე კიდეც. მაგრამ საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ის წყეული ლუკა ისარლოვი დღევანდელ კანონებს ისე უფრთხილდება, როგორც საკუთარ ქეციან ტყავს... დახედეთ, გული მოგიკვდებათ, დასეტყვილ ყანასა ჰგავს, გაზეთს კი არა!

— მაჩვენე... —შეგუბებული ხმით თქვა ილიამ, გაზეთის ამონაბეჭდები გამოართვა, მაგიდაზე გაშალა და გოროზად დააშტერდა წითელი ფანქრით აჭრელებულ გვერდებს.

ხაზები, ხაზები... წითელი ხაზები, მოკლე და გრძელი ხაზები... ამოშლილი სიტყვები და წინადადებები, მთელი აბზაცები, წითელი ჯვრები, დიდი, წითელი კითხვის ნიშნები.. შეუბრალებელ ფანქართან ბრძოლაში დახოცილი სიტყვები და აზრები... ხმაჩამწყდარი ამოძახილები... წითელი ჯვრით გადახაზული, ჩახშობილი გულის ძგერა.

ამოშლილი ადგილები უდაბნოებს თუ სასაფლაოებს ჰგავდა, უთანასწორო ბრძოლაში დახოცილ აზრთა სასაფლაოს... გრძელი და მოკლე ხაზების, წითელი ჯვრების, საბედისწერო კითხვის ნიშნების ეკლიანი მავთულებით შემოზღუდულ სასაფლაოს.

ბოროტ ხელს საგულდაგულოდ დაეთხარა აზრთა ფესვები, ღონივრად, ჟინიანად დასწოლოდა ფანქარს, მარჯვენა წაეჭრა ნათელი აზრისთვის, დაეთხარა თვალები, დაებლაგვებინა მჭრელი პირი, დაემუნჯებინა მეტყველი ბაგე.

სტრიქონის ბოლოს ატუზული კითხვის ნიშნის უკან ცენზორის კმაყოფილი სახე მოჩანდა.

ჰა, მიგიხვდით თუ არაო, ისმოდა დამცინავი ხითხითი...

ილია დაღვრემილი დასცქეროდა ამ უცნაურ სასაფლაოს.

—აი, რა ამოუშლია...

„... რამდენადაც უფრო მეტად ვგრძნობთ უკეთესი ცხოვრების მოწყობის სურვილს და ხელმოკლეობას ამ სურვილის განხორციელებისათვის, იმდენად უფრო მეტად ვიტანჯებით, მეტად გაჭირვებულად გვეჩვენება ჩვენი არსებობა“.

რა კაცია ის, ვინც ამ სიტყვებს ხელს შეახებს? არაკაცი, არაკაცი...

— ისტორიას უნდა გადაეცეს მისი სახელი, რომ მომავალმა საკადრისი მსჯავრი დასდოს! — თითქოს ილიას ფიქრის საპასუხოდ თქვა მანსვეტა-

გაგრძელება მე-7 გვ.

შვილმა, მაგრამ ილიას თავი არ აუწევია, გაცოფებით წამოიძახა:

— ისტორიას კარგთა სახელები უნდა გადავცეთ... ის კი, ის..

რედაქციაში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა ელოდა თუ როგორ დაამთავრებდა რედაქტორი თავის ნათქვამს, მაგრამ განაჩენი იგვიანებდა.

აი კიდევ...

— „თანდათან უფრო საიმედო, უფრო გამამხნევებელი ლაპარაკი ისმის. არამც თუ მარტო დასავლეთ ევროპაში, არამედ რუსეთშიც კი. აი, რას ამბობდა ერთი რუსის მწერალი: ისტორიულ ერთა მოსპობა შეუძლებელია... დიდი უბედურებისა და დამცირების შემდეგაც კი იგინი კვლავ აღდგებიან ხოლმე და გულში ღრმად იმარხავენ შეურიგებელ სიძულვარეს დამჩაგვრელთა და დამპყრობთა მიმართ“.



ილია დაბალი ხმით, მაგრამ გრძნობით კითხულობდა. ამ ხმაში ჟღერდა ის გულისტკივილი, რითაც ეს სიტყვები იწერებოდა. ყველა მონუსხულივით უსმენდა. კითხვა დაამთავრა, წამოდგა, გაიარ-გამოიარა. დუმდა. პაპიროსს ხარბად აბოლებდა და ფანჯარას გასცქეროდა.

ფანჯარას უკვე მზე მოსდგომოდა, აგვისტოს ცხელი, თბილისური მზე. ოთახში ცხელოდა. ისმოდა გიგა ყიფშიძის შეკავებული ქშენა. მას არ შეეძლო სხვასავით გამკლავებოდა სიჩუმეს.

— ამ სიტყვების ამოშლით... — წამოიძახა მან და ილიას გახედა, — ამ სიტყვების ამოშლით ლუკა ისარლოვი ადასტურებს მეფის მთავრობის სურვილს ჩვენი მოსპობის შესახებ!

— ეჰ, ლუკა ისარლოვი, ლუკა ისარლოვი... — დაღლილი ხმით გაიმეორა ილიამ. — ძაღლის თავი უფრო ღრმად არის დამარხული, ვიდრე ჩვენ გვეჩვენება. ლუკა ისარლოვს რა უნდა მოვთხოვოთ გიორგი მუხრანსკის „О существе крупных единиц“-ის შემდეგ. ის გადაგვარებული ხომ ამტკიცებდა, დიდმა ერებმა უნდა შთანთქან პატარა ერებიო!

ამ დროს მანსვეტაშვილს გაეღიმა, რაღაც გაახსენდა.

— ამისთვის ხომ კარგადაც მოხვდა... აკი თქვენ თვითონ მოუგრიხეთ კისერი:

კოხტაა და ლობემძვრალა,
პატარა და ჩამომხმარი,
ცხვირნისკარტა,
ნიკაპ-წვეტი,
უჟმური და განს გამდგარი,
ჭკვით და გულით მოცვეთილა,
ქვეყანაზე უქმად გდია,
თვით მაღლა ზის,
ქვეყნის საქმე
მასაც ფეხებზე ჰკიდია!

ილიასაც გაეღიმა, ფიქრში წავიდა, ხელი ჩაიქნია.

— დავით ერისთავმა ჩემზე უკეთ უპასუხა მუხრანსკის... არ გაგიგიათ? თავადმა მუხრანსკიმ თურმე თავისი საზიზღარი წიგნი გაუგზავნა დავით ერისთავს. დავითმა წაიკითხა, საშინლად აღშფოთდა და ნაჩუქარი წიგნი ასეთი წარწერით დაუბრუნა:

О существе ты написал,
Мой друг, более ста страниц,
Но этим только указал
То, что мы знали без того:
Что ты совсем не существо
И нуль меж крупных единиц...

ილიამ მწარე ღიმილით გაიხსენა ეს ლექსი. გიგამ ტაში შემოჰკრა, გახუმრებაც სცადა, მაგრამ რედაქტორის წამხდარ გუნებას ვეღარაფერი გა-

გაგრძელება მე-8 გვ.

მოაკეთებდა.

– რანი ვართ, რანი? – ბოღმიანად ამოიძახა მან. – ათასი გიორგი მუხრანსკი, ათასი ლუკა ისარლიჩი, ათასი გამცემი გვაზის თავზე... ეს ავი დრო მაჯლაჯუნასავით დასწოლია ჩვენს აზრსა და სიტყვას და საძრაობას არ აძლევს... არ ვიცით ბრძოლა, არა! ჰმ, წკიპურტები, გამოცანები, ლათაიები!... აი რით ვებრძვით მტერს, რომელიც ღონეს არ ზოგავს ჩვენი დასამარებისათვის... განა ჩვენ შეგვიძლია გავუძღვეთ ერს, აღვძრათ იგი მჩაგვრელთა წინააღმდეგ?.. ერეკლემ ხმლით ვერ შეაერთა საქართველო, ჩვენ როგორღა გვინდა კალმით შევაერთოთ? ვაწრიპინებთ, ვაცოდვილებთ უბადრუკ კალამს, ვირჯებით, ვჩალიჩობთ... ვითომ ესმის ჩვენი ხმა ერს? ვითომ გვისმენს ხალხი?.. არა... აი, ხედავთ, მტრის კალამი გვჯობნის, მოსყიდული კალამი!

მან გაზეთის ანაბეჭდებს დაავლო ხელი და თავისი კაბინეტის კარისკენ დაფიქრებული წავიდა. სანამ შევიდოდა, მობრუნდა, მანსვეტაშვილს გახედა და ყრუ ხმით თქვა:

– თუ ვინმემ მიკითხოს...

აღარ დაამთავრა. გიგას უნდოდა ეკითხა, შეგაწუხოთ თუ არაო, მაგრამ უმალ გადაიფიქრა და როცა ილიას ზურგი კარს მიეფარა, წამოიძახა:

– ვაი მას, ვინც ახლა ილიას ხელში მოხვდება!

– ჩემს მტერს...

გიგამ ისევ გარეთ, ჰაერზე გასვლა დააპირა, მაგრამ კარის კაკუნი შემოესმა და შეჩერდა.

– ეს ვინღაა?

– ალბათ ის დრამატურგი იქნება.

– თუ ის არის, ახიც და ვახიც მის თავს! – თქვა გიგამ და კარის გასაღებად გაეშურა.

იაკობმა თავი მხოლოდ მაშინ ასწია, როცა მხიარული, ხმამაღალი შეძახილი შემოესმა.

– ჩუ! – იაკობმა კარისკენ გაიხედა. გაიხედა და უმალ თვალები გაუბრწყინდა, წამოდგა, მასაც ხმამაღლა წამოსცდა:

– შემო... შემოდი, კაცო!

კარებში ჩოხიანი ბრგე ახალგაზრდა იდგა, თავი ჩაეღუნა, კეთილად იღიმებოდა.

– რა ვიცი, შემომესვლება? – მორცხვად იკითხა ახალგაზრდამ, ნაბიჯი გადმოდგა და დაფუკული ხურჯინი კუთხეში მიაყუდა.

– ცარიელი ხურჯინით, ვაჟავ, მართლაც არ გეკადრება. – გაიცინა გიგამ.

ჩოხიანმა ყველას ჩამოართვა ხელი, მერე იაკობის წინ შეჩერდა და შუბლშეკვრით გაიმეორა:

– მართლა გეკითხებით, შემომესვლება?

– ასეა, – დაფიქრებით ალაპარაკდა მანსვეტაშვილი, – სიკეთე გაუბედავად აკაკუნებს, ბოროტება კი არც კითხულობს, ისე აწვება კარს!

– აგაშენა ღმერთმა... თუ სხვებიც ასე ფიქრობენ... – ვაჟამ აღარ დაამთავრა, რედაქტორის კაბინეტის კარს მორიდებით გახედა.

– თონეთელი მამასახლისის ცილისწამებისა არავის გვჯერა. ამის საბუთად ის სილაც კმარა, რომელიც მან მიიღო... მაგრამ ილია შენზე მაინც გაჯავრებულია. ხომ იცი მისი ხასიათი.

– მაგიტომაც გკითხეთ, შემომესვლება თუ არამეთქი... ჰოდა, თუ ასეა...

მცირე ხნის ყოყმანის შემდეგ ვაჟა კარისკენ გაბრუნდა. ყველა სახტად დარჩა.

– არა, მოიცა... სად მიხვალ, არც ასეა... – აფუსფუსდა შეწუხებული გიგა და როცა ვაჟა კუთხეში მიყუდებულ ხურჯინს დასწვდა, ისიც ქოთქოთით და ძახილით მიეტანა ხურჯინის თვალს.

– მოიცა...

– არა, შენი ჭირიმე, არა...

იაკობ მანსვეტაშვილმა სიჩუმის ნიშნად ხელი ტუჩებთან მიიტანა, მაგრამ გვიანღა იყო. უცებ შუა კარი გაიღო და ილიას პირქუში სახე გამოჩნდა. ამონაბეჭდი ისევ ხელში ეჭირა.

– სანამ ჩემი სიმართლე არ დამტკიცდება, ვერ დავენახვები, ვერა! – გაიძახოდა ვაჟა და კარისკენ მიათრევდა ხურჯინზე დაბღაუჭებულ ყიფშიძეს.

– რა ჩარფუზანა გაგიმართავს, ვაჟავ... აქაც თონეთი ხომ არ გგონია!

ვაჟას მკლავები მოსწყვიტა, მაჯა მოუდუნა ამ ხმამ.

„აქაც თონეთი ხომ არ გგონიაო"...

ილიამ ამით ყველაფერი თქვა. მოკლედ გამოხატა თავისი გულისწყრომა. მაგრამ უწყის კი, არის თუ არა ვაჟა მართლაც დამნაშავე თონეთელ მამასახლისთან... ვაი, რომ ილიას ახლა ასე სჯერა!

ხურჯინი ქშენაავარდნილ გიგას შერჩენოდა ხელში. ის ჯერ ვერ გამორკვეულიყო... ილიას ვერ ხედავდა და კმაყოფილი ღიმილით დასცქეროდა ჭრელადნაქსოვ ნადავლს. ამ ძიძგილსა და დავიდარაბაში ხურჯინს ერთი თვალის პირი შეხსნოდა. სწორედ ამ თვალში იჭყიტებოდა ახლა გამარჯვებული გიგა.

– ჰყრია რამე შიგ?.. – დაცინვით იკითხა ილიამ.

გიგა ილიას ხმამ შეაკრთო. ხურჯინი კინაღამ ხელიდან გაუვარდა.

– არაფერი, შენი ჭი-

გაგრძელება მე-9 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიმე. ნახევარი დღის საგზალიც არ იქნება, – მწარედ გაიღიმა ვაჟამ.

– მეც მანდა ვარ, – მწყრალად თქვა ილიამ, – რას მიქვია ნახევარი დღის საგზალი?! ნახევარი დღის საგზლით მოდიხარ ამ გაუთავებელ გზაზე? როდემდის უნდა დადიოდეს ქართველი კაცი ამ ტრიალ წუთისოფელში ნახევარი დღის საგზლით?.. რატომ საუკუნო საგზლისთვის არ უნდა ზრუნავდეს და იღვწოდეს?!

კარგახანს ბდღვინავდა და ბობოქრობდა აღელვებული რედაქტორი. სიტყვები მეხის ნაპერწკლებივით სცვიოდა პირიდან. ვაჟა გაოცებული იდგა, შეჰყურებდა და სიტყვას ეძებდა. ყიფშიძე ღიმილით დასცქეროდა მანსვეტაშვილის უბის წიგნაკს.

– იმ მამასახლისზე ცალკე გაგატარებენ ბერაში, ახლა კი ეგ შენი ნახევარი დღის საგზალი მაჩვენე, ეგეც რამეა, თუ მართლაც კარგია... გახსენი, ამოცალე შენი ხურჯინი!

ვაჟა ადგილიდან დაძვრას არ აპირებდა, სირცხვილით იწვოდა, ალმური მონთებოდა სახეზე.

– შევიდეთ, წავიკითხოთ!

– არა, ბატონო... აი, აი, აქ მაქვს... – დაბნევით ბურტყუნებდა ვაჟა და ჩოხის მასრებზე ისვამდა აკანკალებულ ხელს, მაგრამ ილიას არაფერი ესმოდა... ხურჯინს მისწვდა, ხელიდან გამოგლიჯა გიგა ყიფშიძეს. ხურჯინს პირი ქვევით მოექცია, გახსნილი თვალიდან რაღაც გამოვარდა და რახუნით ძირს დაეცა. ყველამ იატაკს დახედა. ვაჟას ფეხებთან ნაცარში გამომცხვარი ხმიადის მოზრდილი ნატეხი ეგდო.

ილიამ ვაჟას შეხედა. ვაჟა დაიხარა, ხმიადს დასწვდა, პირთან მიიტანა, მძლავრად შეუბერა, კიდევ შეუბერა, სამჯერ აკოცა... ჯერ ხურჯინისკენ გაიწია, მერე ხელი ჩაიქნია, ერთი ამოიხვნეშა და ხმიადი ფანჯრის რაფაზე დადო.

– ჰოო... – თქვა ილიამ და თვალი ვეღარ გაუსწორა ვაჟას.

ვაჟამ ჩოხის გულისპირი გადიხსნა, ხელი ჩაყო და ორად გაკეცილი რვეული ამოიღო.

– ეგ რა არი?.. – მისწვდა ილია. ხურჯინი უნებურად კუთხეში მიაგდო და რვეული გადაფურცლა, ალაგ-ალაგ ჩახედა, ჩაიკითხა. არა თქვა რა. თავისი ოთახისკენ წავიდა, თან ნაწერს თვალს არ აშორებდა. ვაჟა დაავიწყდა. კართან შედგა, ჩაფიქრდა, მოიხედა.

– აქ იყავ, სანამ არ გამოვალ...

ყველა ჩუმად იჯდა. ჩუმად, მაგრამ მოუსვენრად იჯდა ვაჟაც. რედაქტორის ოთახიდან ლომის ბუხუნი ისმოდა. ილია ხმამაღლა კითხულობდა.

– რაც აინტერესებს, მარტო კითხულობს... ისიც ხმამაღლა. – თქვა გიგამ.

– როდის დაწერე? –იკითხა იაკობმა.

– რაც „ხმელი წიფელი“ დამიხანჯლეს, შურისძიების გუნებაზე დავდექ...

ქუჩაში ცხენის ფრუტუნი გაისმა. სადღაც ეტლი მიგრიალებდა.

ვაჟა მოუსვენრად შეტოკდა, თითქოს რაღაც გაახსენდა, ფეხზე წამოდგა, კართან მივიდა და ხურჯინს დასწვდა.

– მოიცა... – წამოიძახა გიგამ და ხურჯინს წელანდელივით მოეჭიდა.

– ნუ... ნუ, გეთაყვა, – გაიწია ვაჟამ.

– საქმე მაქვს შენთან, ხომ იცი... მერე პატარა ხნით ჩავიდეთ.. იქ... – მრავალმნიშვნელოვნად ევედრებოდა გიგა.

ვაჟა ცალი თვალით რედაქტორის ოთახისკენ იცქირებოდა.

– არა, ცხენს მომიშივდა... არა, შენი ჭირიმე, არა...

– ხელათ ჩაიკითხავს...

– არა-მეთქი, არა... სანამ წაიკითხავს, მცხეთას გავცდები. – წამოიძახა ვაჟამ, გაიწია და ატორღიალებული გიგა ყიფშიძე ხურჯინთან ერთად გარეთ გაიტანა.

სანამ გიგა შემობრუნდებოდა, რედაქციის თანამშრომლები გულიანად იცინოდნენ, იცინოდნენ, ხმადაბლა, რომ რედაქტორის ყურადღება აღარ მიექციათ.

– ჩაიყვანს...

– არ ჩაჰყვება, დღეს გუნებაზე არ არის...

– წამხდარ გუნებას ხომ იცი, რაც უხდება.

– არა, ილიასაც კი აღარ მოუცადა...

გიგა ნაწყენი დაბრუნდა.

– ნამდვილი ველურია... მთიული... არც აინტერესებს!

როდის-როდის რედაქტორის კაბინეტში ლომის ბუხუნი მიწყდა.

შუა კარი გაიღო. დილანდელივით ჯერ თამბაქოს კვამლის ბოლქვები გამოვარდა, მერე ილიას სახე გამოჩნდა. ეს სახე მაშინდელივით კუშტი და მრისხანე აღარ იყო. უცნაურად ბედნიერი და კმაყოფილი ღიმილი თამაშობდა დიდრონ, გონიერ თვალებში.

– ვაჟა!... – გაისმა მისი ხმა.

– ვაჟა წავიდა...

ილია ფანჯარასთან მიიჭრა, გადაეყუდა, ქუჩას

გაგრძელება მე-10 გვ.

გახედა.

– ვაჟა!.. ვაჟა!.. რა იქნა? რად გაუშვით?... დააბრუნეთ, დააბრუნეთ, თქვენ გაზრდას!

– ერიჰაა!.. ვაჟა ახლა მცხეთას იქნება გაცილებული...

ილია ფანჯრის რაფას დააცქერდა. რაღაცას ეძებდა თვალით. ახლა სხვა ფანჯრებს გახედა, უხერხულად შეიშმუშნა.

– წაიღო? – უცებ იკითხა და ერთხელ კიდევ მოათვალიერა ოთახი, წიგნის თაროებსაც კი შეავლო თვალი.

– რა? – გაკვირვებული შეეკითხა გიგა.

– ხმიადი... თავისი ნახევარი დღის საგზალი.

– ჰო, ხმიადი... მართლა, ხმიადი რა იქნა?

თანამშრომლებმა ერთმანეთს ღიმილით გადახედეს. იაკობი თავჩაღუნული იჯდა და მაგიდას დასცქეროდა. მერე ფეხზე წამოდგა და დარცხვენით თქვა:

– ხმიადი... ხმიადი, ბატონო ილია, ვაჟას აღარც გახსენებია. მე... მე შევინახე...

„შეუნახავს, თონეთური ხმიადის ნატეხი წმიდა ნაწილივით ჩუმად შეუნახავს ამ შეჩვენებულს“... – გაიფიქრა გიგამ და თავი ველარ დაიჭირა. გულღიად გადიხარხარა.

ილიამ პირქუშად შეხედა გიგა ყიფშიძეს.

– რად გაუშვით?..

– ვეხვეწე, ქოსების სარდაფიც კი ვუხსენე, ბატონო ილია, მაგრამ არ მოიცადა, ცხენს მომიშივდაო...

– ცხენს? ცხენსა თუ...

ილია ფიქრს მიეცა.

ფანჯრიდან კავკასიონის ქედი მოჩანდა. მთებს ჩამავალი მზის ვარდისფერი შუქი მისდგომოდა. მკვდართა მზის ყვითელი ბინდი აშუქებდა კავკასიონს.

„ცხენს მოუშივდა... თვითონაც შიოდა, ალბათ. შიოდა, უთუოდ შიოდა. ჩვენ კი ვერ გავუგეთ, ნახევარი დღის საგზალიც დავუკარგეთ...“

ვაჟა ალბათ უკვე გასცდა მცხეთას. ახლა არაგვის ჭალებში მიაჭენებდა ცხენს. მშიერი ცხენი ჯიუტობს, ფეხს ითრევს, გზისპირისაკენ, ბალახისკენ მიიწევს.

„რა იყო, სამგლევ?... განა სხვას შენზე ნაკლებ ენატრება გაშლილი სუფრა?... შენ წუხელ ქერი მაინც ახრამუნე, დილით კი ბალახიც დააყოლე, ფერდი ამოიდგი... მე?... მე რა, თონეთიდან უზმოდ გამოვიქეც. ქალაქშიც ლუკმა არ გამიტეხია... ნუ, ნუ... ნუ აჰყვები გულსა, ამაყი უნდა იყო, სხვამ რად უნდა გაიგოს შენი გაჭირვება...“

ალბათ ასე ეჩურჩულება ვაჟა თავის ბედაურს, მის ფაფართან თავი ჩაუქინდრავს და ამხნევებს.

ვინ იცის, წეღან, მცხეთაში რომ გამოიქროლა, ჭრაქით გაშუქებული დუქნებიდან მემთვრალეთა არეული სიმღერა და ღრიანცელი შემოესმა. იქნებ წუთით შეაყენა ცხენი, იყოყმანა, ჯიბისკენ წაღებული ხელი უიმედოდ ჩაიქნია. ისევ მოუშვა აღვირი და ახლა თავის თავს შეუწყრა.

„ჟინვალამდე მაინც ითმინე, ვაჟავ... იქ ძმაკაცმა ეგებ ხინკალზეც მიგიპატიჟოს...“

მაგრამ ცხენი არ ითმენს. შორსაა ჟინვალი. არაგვი ხმაურით მიაგორებს ტალღებს.

არაგვი... არაგვი... არაგვისპირები...

განა შეიძლება, ქართველმა აქ გაიაროს და...

როგორ იქნება არ განისვენოს,

სამჯერ ხომ მაინც გადაჰკრავს ღვინოს...

ღიღინებს ვაჟა. ალბათ ასე ღიღინებს: „სამჯერ ხომ მაინც გადაჰკრავს ღვინოს“... ამ სიტყვების ამომღერების მერე მწარე სიცილი აუტყდება.

„იმ დალოცვილს ტიკჭორა ექნებოდა ხურჯინის ცალ თვალში, მეორეში... შენ კი, თონეთური ხმიადის ნატეხიც გენატრება... უჰ, რა სირცხვილი გაჭამა იმ თონეთურმა ხმიადმა! აჩუ, შე სამგლევ... შენ კი... შენს ხურჯინში თაგვებს ჩარფუხანა გაუმართავთ. რატომ არ დაუჯერე, ბიჭო, გიგა ყიფშიძეს? მოგეცადა, შე კაი კაცო, შენი ალუდას, შენი წვრილი სიმღერების ამბავსაც გაიგებდი და იქნებ ქოსებთანაც გადაგეკრა!

ნეტავ რას იტყვის?... მოეწონება?... ჰმ, შენი ნაჯღაბნი.... აი, მესმის:

ცხენს მოაძოვებს, თვალს მოატყუებს,
გამოილვიძებს, შუბლს განიგრილებს,
ერთს ქართველურად კიდევ შესძახებს,
არაგვო, მაგ შენ ამწვანებულ მთებს,
და მერე თუნდაც დაუგვიანდეს,
იგი ამისთვის აღარ დაღონდეს...“

შორს არის ჟინვალი...

იქნებ ძმაკაციც არ დახვდეს შინ. ცხენს კი შია, ვაჟას დარიგება არ ესმის, ხვიხვინებს, ლაგამს ახრამუნებს და ბალახისკენ მიიწევს.

აი ვაჟა ცხენიდან ჩამოხტა, ლაგამი წაჰყარა, აღვირი საბლით დაუგრძელა, ბუჩქზე გამოაბა და ჭალაში შეაგდო. ცხენმა მხიარულად დაიფრუტუნა.

აი, ვაჟამ ცარიელი ხურჯინი თავქვეშ ამოიდო, მოწყვეტილი მუხლები გაშალა და ზმორებით ცას შეხედა.

ვარსკვლავები უკვე გაგრძელება მე-11 გვ.

ჩნდებიან, იბადებიან როგორც ოქროსფერი წიწილები, შიგნიდან ყვითელ ნისკარტებს სცემენ ლაჟვარდს, ციმციმით იჭყიტებიან და ჟივჟივებენ.

ამას ყველაფერს ცხადად ხედავს ფიქრებში წასული ილია. ხედავს იმ ვარსკვლავებსაც. ცხენის ფრუტუნი კი არა, ვაჟას სუნთქვაც კი ესმის.

„არ მოეწონება... მშიერ კაცს როდის რა დაუწერია?“

არა, ეს ილიას ფიქრი არ არის... ასე გამწარებული ვაჟა ფიქრობს... არ არის ვაჟა მართალი, არა...

აი თუ არ დაუწერია, აი თუ არა...
სანამ კი ვცოცხლობ ბედკრული,
შევყურებ მზეს და მთვარესა,
შენს სიბეჩავეს დავაცვეთ
ჩემს დაწყლულებულ მკლავებსა...
თუ გიღალატო, დედაო,
ნუმც დავიმარხო მთაშია,
ნუ დადვან ვაჟის ფშავლისა
ხმალი სატირლის თავშია...
შავეთში გამგზავრებულსა
ცხენი წამექცეს წყალშია,
ქვეყნისგან შეჩვენებულმა
ბინა დავკარგო ცაშია,
გამიწყდეს ბეწვის ხიდაი,
ჩავვარდე კუპრის ზღვაშია!
„თუ გიღალატო, დედაო...“
ილიამ თავი ასწია, გამოფხიზლდა.

– ჰა, მაშ მცხეთას იქნება გაცილებული? ვითომ ასე სწრაფად მიჰქრის ფშაველი ვაჟას მერანი?.. კი... კი, ნამდვილად იქნება გაცილებული. უფრო შორს იქნება. შორს წავა...

ილია თითქოს ვაჟას მეტს ვერავის ხედავდა, ისე ლაპარაკობდა.

იქ, სადღაც, არაგვის პირას ვაჟა ისევ გულაღმა იწვა და ვარსკვლავიან ცას შეჰყურებდა.

– რატომ გიკვირს ჩემი ნათქვამი?.. კოჭებზედვე ეტყობა, რა ვაჟიც უნდა გამოვიდეს მაგ ვაჟასაგან... შორს წავა-მეთქი, შორს!

ყველა გაოცებული შეჰყურებდა ილიას. გრძნობდნენ, რომ ახლა იგი მათ კი არ ელაპარაკებოდა, არამედ საკუთარ თავს უტყდებოდა, ქადაგად დაცემულსავით ბორგავდა, შფოთავდა და ბოდავდა.

– ნახევარი დღის საგზალი დავუკარგეთ, მან კი საუკუნო საზრდო მოგვიტანა... დიახ, ეს რვეული საუკუნო საგზლად გასწვდება საქართველოს!

ხმამაღლა ფიქრობდა ილია...

ახლა ვაჟა ალბათ ჟინვალსაც გასცდენოდა და მაღაროსაც. გვერდით, ხევში ფშავის წმინდა არაგვი მიხმაურობდა, ქვევით, დედასაქართველოსკენ მიედინებოდა... ვაჟა კი ზევით, ჩარგლის მაღალი მთებისკენ მიაქროლებდა ცხენს.

ჰმ, მამასახლისი... ყვითელთავა ისარლოვის გამხმარი გული...

არა, ისინი ვეღარ შეგვაჩერებენ თავისი წკიპურტებით.

აი, როგორის ძალით ამოხეთქა ხალხის სიმღერამ. ამ წუთში მე მწამს საქართველო... მაინც ყოფილა მის ძარღვებში რაღაც არაგვივით ძლიერი, სუფთა და თავისუფლების მაძიებელი.

არა, ჩვენ, ძველებმა, ახლა კალამი ძირს უნდა დავდოთ!.. გზა ვაჟას უნდა დავუთმოთ! – წამოიძახა ილიამ და ფეხზე წამოდგა.

იაკობ მანსვეტაშვილმა აქ კი ვეღარ მოითმინა და პირველად თავის სიცოცხლეში ილიას თანდასწრებით ამოიღო თავისი საიდუმლო უბის წიგნაკი. მაგიდასთან ფეხაკრეფით მივიდა, ჩამოჯდა, თავი მხრებში ჩარგო და აკანკალებული ხელით შეუდგა წერას.

გიგა ყიფშიძეს კინაღამ სიცილი წასკდა, ცრემლმორეულ თვალებზე ხელი აიფარა.

„ნუთუ ამ გამოთაყვანებულს არ შეუძლია დაიმახსოვროს, კარგად ჩაიჭედოს თავში და მერე სიტყვა-სიტყვით შეიტანოს თავის კარაბადინში?!“

ილია კი ვერაფერს ამჩნევდა. არც მენსვეტიშვილის მორიდებული კალმის წრიპინი ესმოდა, არც გიგა ყიფშიძის ქშენა.

– ხომ ცუდი დილა გაგვითენდა, დაგვცინეს, გაზეთი დაგვისეტყვეს... ხომ ასეთია ჩვენი ცხოვრების ყოველი დილა, მაგრამ, როგორც ჩანს, ჩვენს დროში კაცურად ცხოვრების ერთადერთ წუთსაც კი თავისი მადლი და ფასი აქვს... აი, ყოფილა ასეთი წუთი... ამ ერთი კაცური, ბედნიერი წუთისათვის ვცხოვრობთ ამ გაძაღლებულ ქვეყანაზე!

მოხიბლული ილია ისევ კავკასიონს გაჰყურებდა.

მკვდართა მზე უკვე აღარ აშუქებდა ტყვიისფრად ალანძულ ჭალარა ქედებს. ღამდებოდა, მაგრამ საიდანღაც ახალი, უცნაური შუქი მოსდგომოდა საქართველოს მთების ზურგს. მაღლა იწევდა, ცდილობდა თავზე დასდგომოდა კავკასიონს.

ილია ამ შუქს შეჰხაროდა.



# მსოფლიო კიდით კიდემდე




## იაპონია

### მულტფილმების გმირების მილიარდები

„ჯიბის მონსტრი“ პოკემონი 1996 წელს დაიბადა, თავიდან ის ვიდეოთამაშების გმირი იყო, მაგრამ მალე ტელევიზიაში გადაინაცვლა, სადაც მისი მონაწილეობით მრავალი მულტპლიკაციური სერიალი და შოუ შეიქმნა. მოგვიანებით, როდესაც მან სამშობლოში საყოველთაო პოპულარობა მოიპოვა, მისმა შემქმნელებმა ბაზარზე პოკემონის გამოსახულებიანი ოთხი ათასი დასახელების ასოცირებული საქონელი გამოიტანეს. ეს არის სათამაშო, ტანსაცმელი, კომიქსები, პროდუქტების შესაფუთი მასალა.

იაპონიის დაპყრობის შემდეგ პოკემონმა მთელ მსოფლიოში დაიწყო მოგზაურობა. მულტფილმები მისი მონაწილეობით 70 ქვეყანამ შეიძინა, ხოლო აქ გამოშვებულმა საქონელმა „ჯიბის მონსტრის“ გამოსახულებით მეწარმეებს 16 მილიარდი დოლარი მოუტანა.



## შვედეთი

### ასტრიდ ლინდგრენის გმირთა სამყარო

სტოკჰოლმში არსებულ იუნიბაკენის მუზეუმის სტუმართა შორის ბავშვები ჭარბობენ და ეს არც არის გასაკვირი – მუზეუმი ღია ცის ქვეშ სწორედ მათთვის შეიქმნა. აქ მისული პატარები სტილიზებული მატარებლით მოგზაურობენ დიდი მეზღაპრის ასტრიდ ლინდგრენის გმირთა სამყაროში.

მუზეუმის დამთვალიერებლებს, საშუალება ეძლევათ მთელი მსოფლიოს ბავშვების საყვარელი მწერლის ცხოვრების ამსახველი ექსპონატები იხილონ. იუნიბაკენის შესასვლელში აღმართულია ასტრიდ ლინდგრენის ლითონის ძეგლი – ხანდაზმული მწერალი სავარძელში ზის, ხელთ გადაშლილი წიგნი უჭირავს, რომლის ფურცელზეც იკითხება მთელი შვედეთისთვის ნაცნობი წინადადება: „მე ვხედავ სინათლეს“. მუზეუმ-პარკის ტერიტორიაზე მწერლის კიდევ ერთი ძეგლია. შვედ გოგო-ბიჭებს ყველაზე მეტად ამ ძეგლებთან უყვართ სურათების გადაღება.



## ესპანეთი

### მასწავლებლებს დამამშვიდებელი წამლები სჭირდებათ

ქ. ბარსელონის მერიის მიერ ჩატარებულმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ პრაქტიკულად ყოველი მეხუთე მასწავლებელი საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობას უჩივის, ხოლო ყოველი მეათე პედაგოგი იძულებულია დამამშვიდებელი აბები მიიღოს. გამოკითხულ მასწავლებელთა უმრავლესობამ შერყეული ჯანმრთელობის მიზეზად მოსწავლეთა ქრონიკული პასიურობა, მათი სიზარმაცე და ბოლო წლებში სკოლებში დისციპლინის დონის მკვეთრი დაქვეითება დაასახელა. ექიმებმა კი გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე დაასკვნეს, რომ ესპანელი მასწავლებლების ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები საკუთარი მოვალეობისადმი მათი მომთხოვნელობის მაღალი დონით არის გამოწვეული. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ხშირად პედაგოგებს გულთან მეტისმეტად ახლოს მიაქვთ მოსწავლეთა ცოდნით აღჭურვისკენ მიმართული ძალისხმევის უშედეგობა.



## ახალი ზელანდია

### „ოსკარის“ ყველაზე ახალგაზრდა ნომინანტი

მოსალოდნელზე მეტად წარმატებული აღმოჩნდა 13 წლის ახალზელანდიელი მოსწავლის კეიშა კასლ ჰიუზის კინოდებიუტი. იგი აშშ-ს კინოაკადემიის ისტორიაში „ოსკარის“ ყველაზე ახალგაზრდა ნომინანტის სახელით შევიდა. კეიშამ მთავარი როლი შეასრულა მცირებიუჯეტიან ფილმში „მოგზაურობა ზვიგენით“. როგორც თვითონ ამბობს, ტელევიზიით „ოსკარის“ ნომინანტების ვინაობას რომ აცხადებდნენ, კეიშას ეძინა და ეს ამბავი მეორე დღესლა შეიტყო დედასგან.

# ოქროშხეფი



რომც არ იცნობდეთ სალომე ჯაფიაშვილს, მის ლექსებსა და ჩანახატებს რომ წაიკითხავთ, მიხვდებით, რომ იგი მეოცნებე, ლირიკულად განწყობილი ადამიანია. სალომეს ბევრი რამ აინტერესებს და აფიქრებს, გოგონა საკუთარი თავის შეცნობასაც ცდილობს, ნააზრევს კი კალმით ხელში გადმოსცემს. თავის დროზე ლიტერატურის სიყვარულმა და წერის სურვილმა სალომე მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის შემოქმედ მოსწავლეთა სტუდიაში მიიყვანა. მას შემდეგ იგი მუდმივად იფართოებს თვალსაწიერს, იზრდება როგორც მთხრობელი და ეს ზრდა მის ნაწერებსაც აშკარად ეტყობა.

სალომე ჯაფიაშვილი საავტორო სკოლა "ქართული სასწავლებლის" მერვეკლასელია და გარდა ლიტერატურისა, ძალიან უყვარს მათემატიკა.

ადრე დაწერილ ჩემს თხზულებას აღვიქვამ როგორც წერილს, რომელიც წარსულიდან მომწერა ჩემმა თავმა. ვინ იცის, არც მომეწონოს, ან იქნებ, ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინოს. ყოველ წინადადებაში ჩანს იმდროინდელი განწყობა.

ახლაც ვწერ, ვწერ წერილს მომავალში და ვფიქრობ: რას იტყვის სალომე?

***

ჭყიტინა ბალახს
გამოაღვიძებს დილის
ცრემლები,
იწყებენ ფარფატს ხეზე
მსხდარი მწვანე პეპლები,
დაეკიდება მოფითრო
ზეცას წითელი ხილი,
გამმორილ დღესაც
ძალიან მალე
მოეფერება ჭაღარა
ძილი,
ვიცი, დაგწყდება
გული იმაზეც, რომ ასე
მალე იძინებს დილა
და მზის სხივები
იშლება, როგორც
ზღვის მოქცევაზე
ნაპირის სილა.

* * *

ლურჯ ზღვაზე დაეშვა
რძისფერი თოლია
და ახლა ქუჩებშიც
ცისფერი თოვლია,
ამ ღამეს ღრუბლიდან
ფიქრებს უთოვიათ
და თითქოს სამოთხეც
არც ისე შორია.
ლურჯ ზღვაზე დაეშვა
რძისფერი თოლია,
თუმც ახლა ქუჩებშიც
ცისფერი თოვლია.

* * *

ოცნება ღელავდა
უშორეს მხარეში,
ცაზე დაილანდა
ვარსკვლავთა თარეში,
ზეცამ გამოაცხო
ფერმკრთალი მთვარე
და მე მის თვალებში
ვარსკვლავენი ვთვალე.

* * *

ცას ჩამოეკიდა
ნამგალა მთოვარე,
შეხედეთ კუპრ ზეცას
და ფიქრი მომანდეთ.
ნაწვიმარ ტყეებში
ქარები წვებოდნენ,
იმ ღამეს შავ ზეცას
ფიფქები წყდებოდნენ,
მაღალი ნაძვები
ვარსკვლავებს
სწვდებოდნენ,
იმ ღამეს ფიქრები
ზეცისკენ მიქროდნენ
და ღამის თვალები
სიზმარზე ფიქრობდნენ,
და მაინც... ფიქრები
შავ ზეცას
წყდებოდნენ,
მაღალი ნაძვები
ვარსკვლავებს
სწვდებოდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეგობრობისთვის გაწვდილი ხელი

ღრმად პატივცემულო ქალბატონი შნიტცლერ!

დიდი სიყვარულით მოგესალმებით მზიანი საქართველოდან. გისურვებთ ყოველივე კარგს, ჯანმრთელობას, ბედნიერებას პირად ცხოვრებაში და მრავალ წარმატებას შემოქმედებაში საშობაოდ და დამდეგ ახალ წელს, თქვენს 24 ტკბილ და საყვარელ მოსწავლესთან ერთად.

პატივისცემით კლასის ხელმძღვანელი იზო ლაშქარაძე-კუხიანიძე

და 1ა კლასის მოსწავლეები.

ქალბატონო შნიტცლერ და საყვარელო 1ბ კლასის მოსწავლეებო!

ჩვენ ვართ საქართველოს რესპუბლიკის ქ. თბილისის 24-ე ზოგადსაგანმანათლებლო საშ. სკოლის 1ა კლასის მოსწავლეები, ჩვენ წელს დავიწყეთ გერმანული ენის შესწავლა, გვსურს თქვენთან და თქვენს მოსწავლეებთან დავამყაროთ მეგობრული კავშირი. იმედია, ყურად იღებთ ჩვენს სურვილს და გამოგვეხმაურებით.

მიიღეთ ჩვენგან მოკრძალებული საშობაო საჩუქარი და აგრეთვე 1ა კლასის მოსწავლეების ფოტოსურათი.

ეს წერილი და საჩუქრები ქ. ოსნაბრიუკის იოჰანეს სკოლის თანატოლებს თბილისელმა პირველკლასელებმა შარშან შობის წინა დღეებში გაუგზავნეს, მალე გერმანიიდან საპასუხო წერილი მოვიდა.

(ეს წერილი გერმანული გაზეთის Stadt Osnabrick-ის 10 იანვრის ნომერში დაიბეჭდა)

## Ausgestreckte Hand aus Georgien ergriffen

**Erstklässler der Johannisschule schließen Partnerschaft mit Schülern aus der Hauptstadt Tiflis**

**Zwischen ihren Schulen liegen über tausend Kilometer, und wahrscheinlich werden sich die Kinder nie persönlich begegnen. Trotzdem steht für die Klasse 1b der Johannisschule fest: 42 gleichaltrige Mädchen und Jungen aus Georgien sollen ihre Freunde werden.**



WINKEN ihren neuen Freunden im fernen Georgien zu: Mit der Klasse der Großmutter von Anna Mekinulaschwili (untere Reihe, 3. von links) ist die 1b der Johannisschule jetzt eine Partnerschaft eingegangen. Foto: Michael Hehmann

Das Bindeglied zwischen den Osnabrücker Abc-Schützen und den Kindern aus der Hauptstadt Tbilisi (Tiflis) ist die Johannisschülerin Anna Mekinulaschwili. Ihre Großmutter, Iso Laschkaradse, unterrichtet an der Amo-Komenski-Schule. Wie viele georgische Kinder lernen ihre Schüler Deutsch als erste Fremdsprache.

Mitte Dezember meldete sich die georgische Lehrerin per Fax und schlug eine Partnerschaft der beiden ersten Klassen vor, erinnert sich Lehrerin Mechthild Schnitzler. Die ausgestreckte Hand aus der Kaukasusrepublik ergriff die Klassenlehrerin sofort. Auch die 1a von Cornelia Wittenbrock will sich an dem Kontakt beteiligen. Am letzten Schultag vor den Weihnachtsferien folgte eine Überraschung auf dem Postweg. In der Johannisschule traf ein Paket aus dem seit 1991 unabhängigen Land ein. Der Inhalt: Mützen für die Jungen und Taschen für die Mädchen, liebevoll handgefertigt. Außerdem lag ein gerahmtes Foto der neuen Freunde bei, das jetzt das Klassenzimmer der Erstklässler schmückt.

Nun überlegen die Kinder, wie sie sich bedanken können. Vielleicht mit etwas selbst Gebasteltem? „Ich sticke gerade ein Bild und bin schon halb fertig", erzählt Ricarda stolz. „Das könnte ich unseren Freunden schenken." Mechthild Schnitzler hat noch eine andere Idee: Die Klasse hat Lieder auf Englisch und Portugiesisch einstudiert. Die könnten sie den georgischen Kindern vorsingen – auf Kassette oder in einem Videofilm. Und wenn die Schüler genug lesen und schreiben gelernt haben, können sie sich Briefe und E-Mails schicken.

Schmunzelnd verfolgt Annas Vater, Ilja Mekinulaschwili, die Diskussion. Er hatte die Idee zu der Partnerschaft. Die Lehrer in seiner Heimat sind ein bisschen strenger als in Deutschland, glaubt er. Aber das können die Osnabrücker Schüler ja schon bald alles aus erster Hand erfahren. (ack)

# ხელი ჩამოვართვათ საქართველოდან გამოწვდილ ხელს

იოჰანეს სკოლის პირველკლასელები პარტნიორობას ამყარებენ დედაქალაქ თბილისის მოსწავლეებთან

მათ სკოლებს შორის ათასობით კილომეტრია და შეიძლება, ბავშვები ერთმანეთს პირადად ვერც კი შეხვდნენ, მიუხედავად ამისა, იოჰანეს სკოლის I ბ კლასის მოსწავლეებმა გაიგეს, რომ 42 მათ თანატოლ გოგონას და ბიჭს საქართველოდან მათთან დამეგობრება უნდა.

ოსნაბრიუკის სკოლის მოსწავლეები და თბილისელი ბავშვები ერთმანეთს დააკავშირა იოჰანეს სკოლის მოსწავლემ ანა მეკინულაშვილმა, რომლის ბებია, ქალბატონი იზო ლაშქარაძე-კუხიანიძე იან ამოს კომენსკის სახელობის სკოლის მასწავლებელია.

ბევრი ქართველი ბავშვი თავის სკოლაში სწავლობს გერმანულს, როგორც პირველ უცხო ენას.

„დეკემბრის თვის შუა რიცხვებში ქართველი მასწავლებელი ფაქსით დაგვიკავშირდა და შემოგვთავაზა პარტნიორობის დამყარება საქართველოსა და გერმანიის სკოლის პირველკლასელებს შორის" – იხსენებს მასწავლებელი მეხტჰილდ შნიტცლერი. ქალბატონმა შნიტცლერმა კავკასიის რესპუბლიკიდან გამოწვდილ ხელს მაშინვე შეაგება ხელი. ამ კონტაქტში მონაწილეობის მიღების სურვილი ამავე სკოლის I ა კლასის მასწავლებელ კორნელია ვიტენბროკსაც გაუჩნდა.

შობის წინა დღეს გერმანელმა ბავშვებმა საქართველოდან ფოსტით სიურპრიზი მიიღეს. ქვეყნიდან, რომელმაც 1991 წელს მოიპოვა დამოუკიდებლობა, იოაჰანეს სკოლაში მოვიდა პაკეტი. პაკეტში იდო სიყვარულითა და რუდუნებით შესრუ-

გაგრძელება მე-15 გვ.



ოსნაბრიუკელი მოსწავლეები ხელს უქნევენ ახალ მეგობრებს შორეული საქართველოდან.

ლებული ხელნაკეთი ქუდები ბიჭებისათვის და ქართულორნამენტებიანი ჩანთები გოგონებისთვის. ამანათს თან ახლდა ახალი მეგობრების ჩარჩოში ჩასმული ფოტო, რომელიც ამჟამად პირველკლასელების საკლასო ოთახს ამშვენებს.

გერმანელი ბავშვები ფიქრობენ, როგორ უნდა გადაუხადონ მადლობა ახლად შეძენილ მეგობრებს. ეს ალბათ მათი ნახელავი საჩუქრები იქნება.

„ახლა ვქარგავ სურათს, რომელიც თითქმის უკვე დავამთავრე, – ამბობს რიკარდა შტოლცი – ალბათ, ამას ვაჩუქებ ჩემს მეგობრებს.“

ქალბატონ მეხტჰილდ შნიტცლერს სხვა იდეაც აქვს: მისმა მოსწავლეებმა იციან ინგლისური და პორტუგალიური სიმღერები და კარგადაც ასრულებენ მათ და შეიძლება ბავშვებმა ქართველ მეგობრებს ვიდეო ან აუდიო კასეტაზე ჩაწერილი ეს სიმღერებიც გაუგზავნონ. მოგვიანებით, როდესაც ორივე ქვეყნის მოსწავლეებს კარგად ეცოდინებათ წერა-კითხვა, ისინი შეძლებენ ერთმანეთს წერილები და იმეილები გაუგზავნონ.

ჩვენს საუბარში ღიმილით ერთვება ანას მამა – ილია მეკინულაშვილი. პარტნიორობის იდეა სწორედ მას ეკუთვნის. იგი თვლის, რომ მასწავლებლები მის ქვეყანაში ცოტათი უფრო მკაცრები არიან, ვიდრე გერმანიაში, მაგრამ ამ ყველაფერს ოსნაბრიუკელი მოსწავლეები მალე თვითონ შეიტყობენ პირველწყაროდან.



თბილისის 24-ე სკოლის I$^{a}$ კლასის მოსწავლეებმა აღმაშენებლის ძეგლთან ქვეყნის ერთგულების ფიცი დადეს

## ახალი წიგნები

### ცხვირა ჩემპიონი

გამომცემლობა „დიოგენემ“, რომლის დამფუძნებელი და პატრონი ქალბატონი თამარ ლებანიძე გახლავთ, პირველი წიგნი 1995 წელს გამოსცა. მას შემდეგ მან ბევრი ჩინებული გამოცემით გაახარა წიგნისკენ ნელ-ნელა შემობრუნებული ქართველი მკითხველი. თამარ ლებანიძის გამომცემლობის განსაკუთრებული ზრუნვის საგანია საბავშვო ლიტერატურა. „დიოგენემ“ ნორჩი მკითხველისთვის განკუთვნილი არა ერთი უმაღლეს დონეზე დასტამბული წიგნი გამოსცა. მსოფლიო საბავშვო ლიტერატურის კლასიკის ქმნილებების გამოცემასთან ერთად „დიოგენე“ ახალი სახელების წარმოჩენაზეც ზრუნავს, ამ მიზნით პერიოდულად კონკურსებსაც აწყობს და მერე თავადვე ბეჭდავს გამარჯვებულ კონკურსანტთა ნაწარმოებებს. გამომცემლობამ კიდევ ერთ კარგ ტრადიციას დაუდო სათავე – თავის ყოველ ახალ წიგნს და მის ავტორს გამომცემლობა თავადვე წარუდგენს მკითხველ საზოგადოებას. ეროვნული ბიბლიოთეკის დარბაზში ამას წინათ გამართული ერთ-ერთი ამგვარი პრეზენტაციის დამსწრე საზოგადოებას ძირითადად ბავშვები შეადგენდნენ. მათ იმ დღეს ახალი წიგნის „ცხვირა ჩემპიონის“ ავტორები წარუდგინეს. პატარა მკითხველებს საშუალება მიეცათ, გაცნობოდნენ ნანა კაციაშვილს და მხატვარ აჩიკო ვეფხვაძეს.

ნანა კაციაშვილის მხიარულმა ზღაპარმა „ცხვირა ჩემპიონი“ „დიოგენეს“ მიერ რამდენიმე წლის წინ გამოცხადებულ ლიტერატურულ კონკურსში ერთ-ერთი პრემია და გამოცემის უფლება მოიპოვა.

პრეზენტაცია ილუსტრირებული ტორტის დაგემოვნებით და საბავშვო ლატარიის გათამაშებით დაგვირგვინდა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიჭების გვერდი





# იარაღის ისტორიიდან

განვითარების გრძელი და საინტერესო გზა გამოიარა სასროლო იარაღმა – პრიმიტიული მშვილდ-ისრიდან და არბალეტებიდან თანამედროვე შაშხანამდე, პისტოლეტებამდე და ავტომატამდე. დღეს თქვენ საშუალება გაქვთ თვალი გადაავლოთ ამ გზას.



ბიჭების გვერდი

# ხომ გინდათ, ყველა თქვენ შემოგნატროდეთ?



გინდათ, მუდამ ხალისიანი, მოხდენილი და ჯანმრთელი იყოთ?

გინდათ, ახლავე ჩაუყაროთ საფუძველი საკუთარი ტან-ფეხის მარად ახალგაზრდა მოყვანილობას?

მაშინ მოჰყევით ჩვენს რჩევას და სავალდებულოდ გაიხადეთ ვარჯიშების კომპლექსი ამერიკელი კინოვარსკვლავის, მარად ახალგაზრდა ჯეინ ფონდას არსენალიდან. კომპლექსის დაწყებამდე შეასრულეთ ჩვეულებრივი სამ-ხუთწუთიანი მოთელვა. პირველი რამდენიმე კვირის განმავლობაში ყოველ ვარჯიშს ხუთზე მეტად ნუ შეასრულებთ, მერე კი ტემპს თანდათან მოუმატეთ. ინვენტარი ძალზე მარტივი დაგჭირდებათ: ღერძი, 1,3 მ. სიგრძის ჯოხი, 3 კილოგრამიანი ჰანტელები და პატარა ნოხი.

ახლა კი უშუალოდ ვარჯიშები.

1. იატაკიდან აზიდვა. 20-ჯერ.

2. აზიდვა ღერძზე განზე გაშლილი ხელებით. 10-ჯერ.

3. დახრები ჯოხითა და ჰანტელებით. 15-ჯერ.



4. ჯოხის მთელი ძალით „მოჭერა", 3-5 წამით. 15-ჯერ.

5. ჰანტელების აწევ-დაწევა. 15-ჯერ.

6. ხელებით იატაკს დაეყრდენით, ასწიეთ ფეხები და დაახლოებით 5 წამის განმავლობაში გააჩერეთ ისინი სურათზე მითითებულ მდგომარეობაში. 10-ჯერ.

7. ჩაჯდომა ჯოხითა და ჰანტელებით. ზურგი გამართული იქონიეთ. ფეხისგულები იატაკს არ მოწყვიტოთ. 10-ჯერ.

8: დაწექით ნოხზე, გამართული ხელებით ასწიეთ და ჩამოსწიეთ ჰანტელები. 15-ჯერ.

9. ჩამოეკიდეთ ღერძს და ფეხებით მართი კუთხე გაჭიმეთ. 10-ჯერ.

10. დაწექით იატაკზე, ჰანტელები თავს ზევით დაიჭირეთ და მაქსიმალურად წამოიწიეთ იატაკიდან. 10-ჯერ.

გოგონების გვერდი

23272

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

## ოქროშხერი



„არ ვარ ქართველი, მაგრამ მე მიყვარს ქართული მიწა, ქართული ზეცა!" – ეს სიტყვები ეკუთვნის ხატია პარასტაევას, რომელიც თბილისში დაიბადა და დღესაც თბილისის ერთ-ერთ ძველ უბანში, „სვანეთის უბანში" ცხოვრობს. ბუნებით რომანტიკოს გოგონას უყვარს ზაფხული, მზე, ზღვა. ლექსების წერა ხატიამ ადრეულ ასაკში დაიწყო, მაგრამ, მათ გამოქვეყნებაზე არასოდეს უფიქრია, ისე რომ დღეს ხატია პარასტაევას ლიტერატურული დებიუტია.

### ვეძებდი სიყვარულს წმინდას

დიდხანს ვეძებდი სიყვარულს წმინდას
და როს ვერ ვპოვე, ცაში ავფრინდი,
იქნებ, ღრუბლებო, თქვენ მაინც მითხრათ,
რად დაეფარა ჩემს სიყვარულს შავი აჩრდილი.

რად გაიბზარა სიყვარულით სავსე ფიალა
და გრძნობით სავსე რად ჩაიქცა ცრემლის მორევში
გადაიკარგა, დამიტოვა მძიმე იარა,
გაუჩინარდა შემოდგომის ყვითელ ფოთლებში...

მზე როცა ირგვლივ სიყვარულის სხივებს აფრქვევდა,
როცა დაჰქროდა სიყვარული ოცნების მიღმა,
მაშინ ჩემს გულში სიმარტოვის გრძნობა გამეფდა,
ყველგან მზე იყო, მხოლოდ ჩემთვის ძლიერად წვიმდა...

დიდხანს ვეძებდი სიყვარულს წმინდას,
მაგრამ ვერ ვპოვე, კვლავ გამიფრინდა.

### მარტოობის დღე

წვიმა –
ცრემლები მცვივა.
მზე –
მარტოობის დღე.
ღრუბელი –
მე მაინც გელი.
მთვარე –
ლამაზი დღე.
წვიმს და ცრემლები მცვივა,
ვიხსენებ განვლილ წლებს.
მზეა, მე მაინც მცივა,
უშენოდ მარტო ვარ დღეს.
ღრუბელი დამყურებს ციდან,
ვიხსენებ შეხვედრებს ძველს.
ოღონდ დაბრუნდი დღეს და არაფერს გკითხავ ბევრს
სადღაც შორს ვუმზერ მთვარეს,
ვიგონებ შენს ლამაზ თვალებს,
ვუყვები მე ტკბილ ამბებს,
ჩემთვის იდუმალ ღამეს.
წვიმს –
მე ცრემლები მცვივა
მზე – მარტოობის დღე...

## შეხვედრა პოეტთან

იმ დღეს თბილისის ანზორ ჩაფიძის სახელობის 147-ე საშუალო სკოლაში სტუმრად ჰყავდათ ცნობილი ქართველი პოეტი ლიდა სტვილია. ქალბატონი ლიდა ბევრი მშვენიერი, ლირიკული თუ პატრიოტული პათოსით გამსჭვალული ლექსის ავტორია. ბევრს წერს პოეტი ბავშვებისთვისაც. თაობები გაიზარდნენ ლიდა სტვილიას ხალისიან, წკრიალა ლექსებზე, რომლებიც სხვადასხვა დროს ერთად შეკონილი გამოიცა კრებულების „ჭარლალო და", „ძილისგულას, ჭამისგულას და ზღაპრისგულას ამბავი", „დევთა ნადარბაზევი", „ბალი დამწიფებულა", „მზეს თქვენ უყვარხართ ბავშვებო" და სხვათა სახით. პოეტის ყოველი ლექსი ყმაწვილების ფიქრების და მისრაფებების უტყუარი ცოდნით არის აღბეჭდილი.



პოეტის შემოქმედებითი საღამოსთვის მოსწავლეებმა საწრეო მუშაობის პედაგოგ მაია ქანთარიას ხელმძღვანელობით მრავალფეროვანი და საინტერესო პროგრამა მოამზადეს. სცენაზე ერთმანეთს სცვლიდნენ ნორჩი დეკლამატორები, მომღერლები, მუსიკოსები, ჟღერდა ფანდურის, ჩონგურის და სალამურის ტბილი ჰანგები. რომელიც თეატრალურ ციკლებად გაერთიანებულ პოეზიასა და მუსიკაზე იყო აგებული. „ვაზის ნერგი ვარ", „დაბრუნება სკოლაში", „ქართული ანბანი", „ჩემს სამშობლო საქართველოს", „კოლხეთის მიწა" და სხვ. – ასეთი იყო ეს ციკლები. საღამო იმდენად კარგი გამოვიდა, ქალბატონმა ლიდამაც ისე გაიხარა, რომ ყველა, ვინც კი ასეთი სიხარული აჩუქა პოეტს – დიდებიც და პატარებიც, მოსწავლეებიც და მასწავლებლებიც ღირსია იმისა, რომ სათითაოდ ჩამოვთვალოთ: თინათინ ენუქიძე, ნინო ტაბატაძე, ნინო ჩალაგაშვილი, გეკა მელანაშვილი, ლაშა ნიკოლეიშვილი, სალომე ბოკერია, მარი გოგოლაშვილი, თამთა მაღრაძე, ირაკლი ჩალაგაშვილი, ლუკა სხირტლაძე, ვატო შოშიაშვილი, მარი სალუქვაძე, ანი აზრუმელაშვილი, სალომე ძმანაშვილი, ლევან სანებლიძე, სოფო ნადირაძე, თორნიკე აბაშიძე, მაია აბდულაძე, დავით მარგიანი, ნათია მირცხულავა, გიორგი რუხაძე, გურამ თამარაშვილი, ნუგზარ ჯაფარიძე.

პოეზიის საღამოს ესწრებოდნენ თბილისის განათლების სამმართველოს წარმომადგენელი მედეა სამსონია, სკოლის დირექტორი ჯოგლიძე, დირექტორის მოადგილეები თამარ მაღრაძე და თამარ გლურჯიძე, სკოლის პედაგოგები, მასწავლებლები, მოსწავლეთა მშობლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თუ გული გულობს...



სკოლა ცოცხალი ორგანიზმია და ნებისმიერი ზიანი მტკივნეულად აისახება მის ყოველდღიურ ცხოვრებაში. ეს ჭეშმარიტება თბილისის მე-10 საშუალო სკოლაში უშუალოდ საკუთარ თავზე მას შემდეგ გამოსცადეს, რაც თბილისში მომხდარმა მიწისძვრამ იმდენად დააზიანა შენობა, რომ საჭირო გახდა მეოთხე სართულის მთლიანად გადაკეტვა-გაუქმება (სასწავლო კაბინეტების უმრავლესობა სწორედ ამ სართულზეა). დღის წესრიგში დადგა ორცვლიანი სწავლების შემოღება და 39 კლასის მეცადინეობის გრაფიკის ხელახლა შედგენა, გადაიტვირთა საკლასო ოთახებიც, საგნობრივი კაბინეტებიც, გაკვეთილების ჩასატარებლად დირექტორის და ექთნის კაბინეტებსაც კი იყენებენ. მაგრამ ყველა სირთულის მიუხედავად გამოცდილმა და პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობით გამსჭვალულმა პედაგოგიურმა კოლექტივმა, რომელსაც ათი წელია ქალბატონი ელისო ანჯაფარიძე ხელმძღვანელობს, მოკლე დროში მოახერხა სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესების სათანადო კალაპოტში მოქცევა და სკოლის ცხოვრებაც ჩვეულ მდინარებას მიჰყვა. ის კი არა, მეათე სკოლამ, ერთ-ერთმა პირველმა თბილისში, თავისთან მიიღო 15 უნარშეზღუდული ბავშვი, რომლებიც საუცხოოდ გრძნობენ აქ თავს და დანარჩენ თანატოლებთან ერთად კიდეც სწავლობენ და სკოლის ცხოვრებაშიც აქტიურად მონაწილეობენ, ექსკურსიებზეც ყველასთან ერთად დადიან – ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ ამ ბავშვებმა რაიმე ფიზიკური ნაკლის გამო თავი გარიყულად არ იგრძნონ, ვცდილობთ ჩვენი შესაძლებლობების ფარგლებში მოქმედებისთვის, გადაადგილებისთვის, სწავლისთვის თუ სხვა საქმიანობისთვის ხელსაყრელი პირობები შევუქმნათ, – ამბობს ქალბატონი ელისო, – არაჩვეულებრივი ბავშვები არიან, ნიჭიერები, ხალისიანები, ჩვენი მოსწავლეები ისევე მეგობრობენ და ამხანაგობენ მათთან, როგორც ყველა დანარჩენ თანატოლთან. მომავალში, საერთოდ სკოლის მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესების პარალელურად ამ ბავშვებსაც უფრო მოხერხებული პირობები შეექმნებათ, მხედველობაში მაქვს სპეციალური ლიფტი და სხვა. წარდგენილი გვაქვს ამ ბავშვებისთვის განკუთვნილი ფიზკულტურის მინიდარბაზის პროექტი, ეს ისეთი დარბაზი იქნება, სადაც ისინი ეტლიდან აუდგომლად შეძლებენ ბურთით თამაშს. გვაქვს შემუშავებული კიდევ რამდენიმე პროექტი, რომლებიც ითვალისწინებს ხატვა-ხაზვის, ოქრომკედით ქარგვის, ხატწერის, ხის მხატვრული დამუშავების კაბინეტ-სახელოსნოების შექმნას. ეს საშუალებას მისცემს უნარშეზღუდულ ბავშვებს, და არა მარტო მათ, დაეუფლონ ამა თუ იმ ხელობას და მომავალში თავის რჩენა შეძლონ.



საერთოდ უნდა გითხრათ, რომ ჩვენ ბავშვებს თანაგრძნობის, თანადგომის, ქველმოქმედების სულისკვეთებით ვზრდით. მხოლოდ ერთ მაგალითს დაგისახელებთ – ჩვენი სკოლა მეორე წელია შეფობს ჩვენს უბანში, ჯავის ქუჩაზე მდებარე მოხუცებულთა თავშესაფარს. ბავშვები ხშირად აკითხავენ მის ბინადართ, გულს უთბობენ, ულოცავენ დაბადების დღეს, გიორგობას, შობა-ახალ წელს, აღდგომას, პატარ-პატარა საჩუქრებით ახარებენ. ამ საქმიანობას მოსწავლეთა კომიტეტი ხელმძღვანელობს, ბავშვები თვითონ ამზადებენ საჩუქრებს, სააღდგომოდ თვითონ თესენ ხორბალს თეფშებზე, მწვანედ აბიბინებულ ჯეჯილში წითელ კვერცხებს აწყობენ და ასე ხელდამშვენებული მიდიან მოხუცებთან.

–ქალბატონო ელისო, თქვენი სიტყვებიდან გამომდინარე, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების იმედი გაქვთ, ასეა?

–დიახ, რა თქმა უნდა, მინდა გითხრათ, რომ შენობა, რომელშიც ახლა განთავსებულია ჩვენი სკოლა, 1937 წელს ჰოსპიტალისთვის აშენდა, ოთახებსა და სათავსოებს დღესაც ეტყობა, რომ აქ სამკურნალო დაწესებულება იყო. ცხადია, წლების მანძილზე ბევრი რამ მოძველდა, მწყობრიდან გამოვიდა, ბოლო ხანებში ქვეყანაში შექმნილი საერთო მდგომარეობის გამო საფუძვლიანი რემონტი ჩვენს სკოლაში არ ჩატარებულა. მინდა მადლიერებით მოვიხსენიო „ახალი მემარჯვენეები", რომლებმაც მიწისძვრის შედეგად ჩამონგრეული სახურავიც შეგვიკეთეს და დერეფნებიც მოგვიწესრიგეს. ჩვენი სკოლა შეტანილია საინვესტიციო ფონდის პროგრამაში და ეჭვი არ არის, რომ სულ მალე გვეშველება. იმის იმედიც გვაქვს, რომ ნაძალადევის რაიონში დენის მოწოდება მოწესრიგდება და სხვაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ჩვენი ბავშვები შეძლებენ სკოლაში არსებულ კომპიუტერებზე მუშაობას.

სხვა მხრივ, თბილისის მეათე საშუალო სკოლაც ისეთივე ცხოვრებით ცხოვრობს, როგორც ჩვენი სკოლების უმრავლესობა. სწავლის გარდა, ბავშვები მხატვრული თვითშემოქმედების წრეებშიც არიან ჩაბმულები, მონაწილეობენ და იმარჯვებენ მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციებში, სხვადასხვა კონკურსებში, გამოფენებში, სპორტულ შეჯიბრებებში. სკოლის მეგობრულ ოჯახად შეკრული პედაგოგიური კოლექტივი დღენიადაგ იმაზე ზრუნავს, რათა ქვეყანას, საზოგადოებას საიმედო, განათლებული და ზნესრული ადამიანები აღუზარდოს, მოქალაქეობრივი, მამულიშვილური რწმენა და პოზიცია გამოუმუშაოს მათ და უნდა ითქვას, რომ სკოლადამთავრებულთა დიდი უმრავლესობა ამართლებს აღმზრდელ მასწავლებელთა დიდ ამაგს. მეათე სკოლის აღზრდილები – პედაგოგები, იურისტები, ეკონომისტები, პოლიტიკოსები, ექიმები დღეს თავდადებით იღწვიან საქართველოს ასაღორძინებლად და მომავალშიც იღვაწებენ.

*იცოდი, რომ...*

# ფული შეიძლება 1,5 კილოგრამსაც იწონიდეს



6

სიტყვა „მონეტას" წაკითხვაზე თითოეულ თქვენგანს უმალ პატარა ბრტყელი ლითონის წრეები წარმოუდგება, რომლებითაც ვსარგებლობთ, როცა რაიმეს ვყიდულობთ ან ტრანსპორტით ვმგზავრობთ. იმას კი ვერც ერთი წარმოიდგენთ, თუ შეიძლება არსებობდეს ჩვენი ჟურნალის ერთი გვერდის ტოლი ან იმდენად მძიმე მონეტა, რომ მისი აწევა მოზრდილ ადამიანსაც გაუჭირდება. არადა, ასეთი მონეტები არსებობს! უფრო მეტიც, მათ შორის ისეთი უცნაურობებიც გვხვდება, რომ მათი შემხედვარე, ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს უცნაური მოყვანილობის საგნები შეიძლება მონეტები იყოს.

თხრობას ამ მონეტების შესახებ „მძიმეწონოსნებით" დავიწყებთ. №1 ნახატზე თქვენ ხედავთ რამდენჯერმე დაპატარავებულ ოთხკუთხა სპილენძის რუსულ რუბლს. სინამდვილეში ეს მონეტა დაახლოებით „ნაკადულის" ერთნახევარი გვერდის ტოლი იყო და 1,5 კილოგრამს იწონიდა. უთუოდ იკითხავთ, რისთვის იყო საჭირო ასეთი უზარმაზარი და მოუხერხებელი მონეტების მიმოქცევაში გაშვება? პეტრე I-ის მმართველობის ერთ პერიოდში უცხოეთში დიდძალი სხვადასხვა საქონელი იქნა შემენილი, რის შედეგადაც ვერცხლის მარაგი რუსეთის ხაზინაში ძალიან შემცირდა. მაშინ გადაწყვიტეს შვედეთის მაგალითზე, ვერცხლის მონეტების ნაცვლად სრულფასოვანი, სპილენძის მონეტები გაეშვათ, მაგრამ სპილენძი ვერცხლზე ბევრად იაფია და მაშასადამე, სპილენძის მონეტაც ვერცხლისაზე იმდენჯერ უფრო მძიმე უნდა ყოფილიყო, რამდენჯერაც ვერცხლი სპილენძზე ძვირია. ასე მოიჭრა ეკატერინბურგის ზარაფხანაში რუბლის, პოლტინის, გრივნის, ხუთი და ერთი კაპიკის ღირებულების ფილები. ეს კვადრატული მონეტები პეტრე I-ის სიკვდილის შემდეგ, ეკატერინე I-ის დროს 1725 და 1726 წლებში მოიჭრა, მაგრამ სულ მალე გამოირკვა, რომ რომ ასე დიდი და მძიმე, მოუხერხებელი მონეტების მიმოქცევაში ხმარება ყოვლად შეუძლებელი იყო. 45 წლის შემდეგ, უკვე ეკატერინე II-ის მეფობის დროს რუსეთში კიდევ ერთხელ სცადეს დიდი მონეტების გამოშვება. ამჯერად მოიჭრა 1 კილოგრამი წონის და 2,5 სანტიმეტრის სისქის მრგვალი მონეტების საცდელი ცალები (ნახ. 2), მაგრამ არც აქედან გამოვიდა რამე. ზარაფხანის წნეხები, მსგავსი „მძიმეწონოსნებისთვის" არ იყო მომარჯვებული და ხშირად გამოდიოდა მწყობრიდან მაგრამ შვედურ 10 დალერიან ფილა-მონეტასთან შედარებით ეს რუბლიც კი სულ პატარა მოჩანდა.



1



2



5

მე-3 ნახატზე წარმოდგენილია საგანი, რომელიც ძალიან ჰგავს დანას, მას ასეც ჰქვია –„ტაო", რაც „დანას" ნიშნავს. ეს ძველი ჩინური მონეტაა. ასეთი მოყვანილობის 13-დან 18 სანტიმეტრამდე სიგრძის ბრინჯაოს მონეტები ჩინეთის ორ პროვინციაში – შანდუნსა და ჩჟლიში ჩვენს წელთაღრიცხვამდე VII-III საუკუნეებში იყო გავრცელებული. უკვე ჩვენს ეპოქაში (1936-1948 წლებში) მოჭრილ თითქმის ყველა მონეტაზე უცნაური საგანი იყო გამოსახული. ისევე, როგორც „ტაო" ეს არის ძველი ჩინური ბრინჯაოს მონეტა „პუ". მე-4 ნახატზე წარმოდგენილი „პუ" ჩვენი წელთაღრიცხვის 14-23 წლებშია მოჭრილი. მწერის ჭუპრის მსგავსი რამ არის გამოსახული მე-5 ნახატზე. ეს სიამური „ტიკალია", რომელიც წარმოადგენს სქელ, მოკლე ვერცხლის წნელს მოღუნული და გაბრტყელებული ბოლოებით. ტიკალები 500 წელზე მეტი (1350-1860წწ.) ხნის განმავლობაში იჭრებოდა სიამში, მიმოქცევიდან ისინი 1904 წელს იქნა ამოღებული, თუმცა ჩვეულებრივი, მრგვალი მონეტები ამ ქვეყანაში ჯერ კიდევ 1861 წელს გამოჩნდა. სიამურ მონეტებზე რომ ვლაპარაკობთ, სახელგანთქმული „პიც" აუცილებლად უნდა გავიხსენოთ. ეს პატარა ფაიფურის თევზები, ხოჭოები და პეპლები (ნახ.6) პირველად XVIII საუკუნეში გამოჩნდა და წვრილი ხურდა ფულის ფუნქციას ასრულებდა. პირველი მსოფლიო ომის დროს 1921-1922 წლებში, როდესაც გერმანიაში ლითონის ნაკლებობა იყო, ფაიფურის მონეტებს ამ ქვეყანაში უშვებდნენ.



3



4

# ერთი სკოლის სადაგი დღეები



რუსთავის 25-ე სკოლა ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდაა საქართველოში, იგი 1989 წელს გაიხსნა და პირველი დღიდან მას ახლანდელი დირექტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ნოშრევან ჯამრიაშვილი ხელმძღვანელობს. ახალგაზრდა დირექტორს მხარში ამოუდგნენ მისივე თაობის პედაგოგები და სკოლაში საქმისთვის თავდადებული მასწავლებლების მეგობრული, ერთსულოვანი კოლექტივი ჩამოყალიბდა. 1996 წელს სკოლის პროფილი შეიცვალა, ის ექსპერიმენტულ საფეხბურთო სკოლად გადაკეთდა და სულ მალე აქაურმა ნორჩმა ფეხბურთელებმა 1987 წელს დაბადებულთა ასაკობრივ ჯგუფში ორჯერ მოიპოვეს რესპუბლიკის პირველობა, სამომავლოდაც კარგი პერსპექტივები გამოიკვეთა, მაგრამ ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური პირობების გამო სკოლამ ძველი სტატუსი დაიბრუნა, დღესაც ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლებლის სახელით არსებობს და ქვეყანას განათლებულ, მაღალი მოქალაქეობრივი შეგნების ადამიანებს უზრდის. ერთგულად ემსახურებიან ღირსეული თაობის აღზრდას გელა წითლიძე (დირექტორის მოადგილე სასწავლო – აღმზრდელობით დარგში), თამილა მესხი, ნელი ქაჯაია, ქეთინო შარიქაძე, ლილი ბენაშვილი, მანანა აბრამიშვილი, ქეთინო ოდიშელიძე, რუსუდან ტყემალაძე, ქეთინო ჭელიძე, ნინო შენგელია, თამრიკო ლუტიძე, ეთერ სირაძე, მაია ყულიჯანაშვილი, ია იოსავა, გულიკო ბეჟანიშვილი, მარინა მთიულიშვილი, ნატო გზირიშვილი, მაია ვარანაშვილი, რუსუდან აბაშიძე, ეთერ ხუციშვილი, ლუიზა ჩაჩიბაია, ციცო ჩუხრუკიძე და სხვები.

ტრადიციულად სკოლის მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა საგნობრივ ტურნირებსა და ოლიმპიადებში, სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციებში. სკოლის კურსდამთავრებულებს არაერთხელ უსახელებიათ მშობლიური სასწავლებელი. აღმზრდელ-მასწავლებლებს შორის არიან შვედეთის ქ. ლუნდის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ასპირანტი ნეიროფიზიოლოგიის განხრით ვლადიმერ დარსალია, თბილისის თეატრალური უნივერსიტეტის სამსახიობო ფაკულტეტის სტუდენტი არჩილ გველესიანი, სკოლა ამაყობს და თავს იწონებს თავისი აღზრდილების მაია ნონიაშვილის, ჯაბა ბალახაშვილის, ეკა კობერიძის, დავით ლოსეურაშვილის წარმატებებით. წელს რესპუბლიკურ კონკურსში „ჩვენ ვკითხულობთ ვეფხისტყაოსანს", რომელიც თბილისის ჰარმონიული განვითარების ცენტრში ჩატარდა, რუსთავის 25-ე სკოლის მოსწავლეებმა მარიამ ვარდიაშვილი და ლევან ყავლაშვილი გრან-პრი დაიმსახურეს. 1999-2000 სასწავლო წელს სკოლის გუნდმა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ მოწყობილ ტურნირზე I ადგილი დაიკავა. სკოლაში რეგულარულად ეწყობა აქაური ნორჩი მხატვრების გამოფენები. აქ ბევრი იმედის მომცემი მხატვარი ჰყავთ: დათო ლაბაძე (IX კლ.), ნათია მაისურაძე (X კლა.), ენდი გურჩიანი (IV კლ.), გიორგი ვარაზაშვილი (VII კლ.), გიორგი ხვედელიძე. საუკეთესო ნამუშევრებისთვის ორმა უკანასკნელმა რუსთავის მხატვართა კავშირის დიპლომები დაიმსახურა.



სკოლას ჩინებული მომღერლები და მოცეკვავეები ჰყავს. აქაური ნორჩი შემოქმედები ამას წინათ ანტალიაში იყვნენ, სადაც სამი კონცერტი გამართეს.

სკოლის მოსწავლეები რეგულარულად მონაწილეობენ ყოველწლიურ საგაზაფხულო ფესტივალში „ეარი" და დიდ წარმატებებსაც აღწევენ, როგორც სხვადასხვა ნომინაციაში ისე საერთო კონკურსში. სამეჯლისო ცეკვებში ორჯერ



მოიპოვა გრან-პრი ნიკა მირზაშვილმა. სკოლას ჰყავს სილამაზის კონკურსში გამარჯვებული დედოფალი ეკა ჭიტაძე. თუმცა 25-ე სკოლა სპორტული აღარ არის, მაგრამ ფიზკულტურას და სპორტს აქ დღესაც დიდი ყურადღება ექცევა.

2001 წელს აქაური ფეხბურთელები ფეხბურთში ბავშვთა და მოზარდთა შორის საქართველოს პრეზიდენტის თასის გათამაშების ფინალისტები გახდნენ. ჰყავთ ჩემპიონები კრივში – დავით მჭედლიშვილი და ილია ჩიქოვანი, ოლიმპიური ნაკრების კანდიდატი აერობიკაში თენგიზ ცხვარიაშვილი. სკოლის აღზრდილი გიორგი გოროზია კი საქართველოს ფეხბურთის ნაკრებში თამაშობს.

*მარინა მირცხულავა*

# ბუდიდან აფრენამდე

პირველად რომ შეაღეს ქ. თბილისის 175-ე საშუალო სკოლის კარი, ეს გოგო-ბიჭები ჩანთებს ძლივს ერეოდნენ, გაოცებული თვალებით შეჰყურებდნენ პირველ მასწავლებლებს: ლია მარკოზაშვილს, თამარ მელისკაურს, ლიანა ფხალაძეს, ციცინო ხერკელაძეს.

მას შემდეგ ოთხმა წელმა ჩაიარა, ამ ხნის მანძილზე პატარებმა ბევრი რამ ისწავლეს და გაიგეს, გაიცნობიერეს რა არის სიკეთე, სამშობლოს სიყვარული, მეგობრობა. ბევრი საინტერესო ღონისძიება მოაწყვეს – „ანბანის გაცილება", ექსკურსიები, მარტყოფის დედათა მონასტერში, მცხეთაში, თბილისის ძველ უბნებში, ბოტანიკურ ბაღში, ეთნოგრაფიულ მუზეუმში. ამ ოთხ წელიწადში ყველაზე ცელქებიც გამოიკვეთნენ და დამჯერებიც, ბეჯითებიც და ცოტა ზარმაცებიც. კარგი სწავლით თავი ისახელეს მარი ხატიაშვილმა, თამარ მინდიაშვილმა, თამუნა მამულაშვილმა, სოფიკო სვანიძემ, სალომე პაჭკორიამ, თამთა ქობულაძემ, სალომე თავაძემ, მედეა კაპანაძემ, თამარ ზაქაშვილმა, ირაკლი ჯიქურაულმა, ნინო კოპალიანმა, ცოტნე აბუთიძემ, თეო ნამორაძემ, ვალერი ბაიაშვილმა და სხვებმა. სულ ცოტაც და ეს გოგო-ბიჭები სწავლების პირველ საფეხურს დაამთავრებენ, დაემშვიდობებიან პირველ მასწავლებელს და ცოდნის გზაზე მეორე ნაბიჯს გადადგამენ.



# ნეტავ რას ვერჩით ქამელეონს?

ადამიანზე, რომელიც ანგარების მიზნით იცვლის აზრს, შეხედულებას, ამრეზით ამბობენ, ქამელეონიაო! სულ კი იმიტომ, რომ ამ უწყინარ ხვლიკს შეფერილობის შეცვლა შეუძლია: ბალახში ის მწვანეა, ქვიშაზე ყვითელი ხდება, ხის ზროზე კი – ყავისფერი.

შეფერილობას თევზებიც იცვლიან, კიბორჩხალებიც, მწერებიც, მაგრამ, რატომღაც, ადამიანებმა მაინცდამაინც ქამელეონი ამოიჩემეს, მისი ეს თვისება დაიხვიეს ხელზე. შემჩნევით, ქამელეონის ეს თვისება უძველეს დროში შეამჩნიეს, იმას კი მრავალი საუკუნის შემდეგ მიხვდნენ, მაინც როგორ იცვლის იგი ფერს. ამ გამოცანის ამოცნობაში ადამიანს მიკროსკოპი დაეხმარა.

იმ უჯრედებს შორის, რომლებისგანაც ყველა ორგანიზმი შედგება, ისეთებიც არსებობს, რომლებიც შეფერილობას განაგებენ. სწორედ ამ უჯრედებზეა დამოკიდებული ბუმბულების, კანის, სხეულის ცალკეული ნაწილების ფერი. მათში თავმოყრილია მღებავი ნივთიერებების – პიგმენტების მარცვლები. ამიტომაც უწოდებენ ამ უჯრედებს პიგმენტურებს, ანუ ქრომატოფორებს (ბერძნ.), რაც ქართულად „საღებავის მატარებელს" ნიშნავს. ზოგ ქრომატოფორაში ბევრი პიგმენტია, სხვებში – ნაკლები. ცხადია, როცა პიგმენტი მეტია, შეფერილობა უფრო ხასხასა, კაშკაშაა. მაგრამ, მნიშვნელობა აქვს არა მარტო პიგმენტის რაოდენობას, არამედ იმასაც, თუ როგორ არის იგი განლაგებული უჯრედში: მთელ ქრომატოფორაშია მიმობნეული, ყველა მის განშტოებაშია განლაგებული, თუ უჯრედის შუაშია თავმოყრილი. პიგმენტის მარცვლებს შეუძლიათ გადაადგილდნენ ქრომატოფორაში, ის კი არა, თვით ქრომატოფორებსაც შეუძლიათ კანის სიღრმეშიც ჩაღრმავდნენ და მაშინ კანი ფერმკრთალდება – და მის ზედაპირსაც მიუახლოვდნენ – კანი უფრო კაშკაშა ხდება.

მაგრამ ქამელეონს მარტო კანის შეფერილობის სიკაშკაშე კი არ ეცვლება, არამედ, თავად ფერიც. მაინც, როგორ ხდება ეს? ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ქამელეონს ქრომა-



ტოფორებში სხვადასხვა ფერის პიგმენტის მარცვლები აქვს. თუ ქამელეონი ბალახში ზის – მწვანე პიგმენტიანი ქრომატოფორები კანის ზედაპირზე ამოდის. სხვა ფერის პიგმენტები კი სიღრმეში ძევს. როცა ქამელეონი ხის ზროზე აცოცდება – მწვანე პიგმენტიანი უჯრედები კანის სიღრმეში ეშვება, ზედაპირისკენ ყავისფერი საღებავი ნივთიერების შემცველი ქრომატოფორები მიისწრაფის. ფაუნის ზოგიერთი წარმომადგენელი, კერძოდ, მწერი ტემპერატურის შეცვლის შესაბამისად იცვლის ფერს. $15^0$ ტემპერატურის დროს იგი შავია, როგორც კი ოდნავ დათბება, – ფერი ბაცდება, ხოლო $25^0$-ზე მწვანე ხდება. რაშია საქმე? რაში სჭირდება

გაგრძელება 23-ე გვ.

სითბოში უფრო ბაცი შეფერილობა? კი მაგრამ, ჩვენ, ადამიანები, ხომ ვცდილობთ, სიცხეში ღია ფერის ტანსაცმელი გვეცვას, რადგანაც იგი მუქ ფერზე ნაკლებად ნთქავს მზის ენერგიას, რატომ არ უნდა იფიქროს სიცხისგან თავდაცვაზე მწერმა?

განსაკუთრებულ ზეგავლენას ახდენს ცხოველთა ქრომატოფორებზე სინათლე. სინათლის ზეგავლენით ცხოველი მარტო კი არ ბაცდება ან მუქდება, შეფერილობის ცვლა შეიძლება ზოგჯერ ძალზე რთულიც იყოს. მაგალითად, ზოგიერთი სახის კიბორჩხალა შავ ფონზე შავია, თეთრზე – თეთრი, წითელზე – წითელი, ყვითელზე – ყვითელი.

მაინც, როგორ იწვევს სინათლე ცხოველის ფერის შეცვლას? ქამელეონს ან სვიას (ქამბალა) თვალებზე ცვილი რომ გადავუსვათ, ისინი ფერს აღარ შეიცვლიან. იგივე ემართებათ მხედველობის ნერვის დაზიანების შემთხვევაშიც. მაშასადამე, სინათლე თვალის საშუალებით ზემოქმედებს ნერვულ სისტემაზე და მხოლოდ ამ უკანასკნელის მეშვეობით – ქრომატოფორებზე. ტვინიდან ქრომატოფორებამდე ნერვები გადის. მათი მეშვეობით გადაიცემა სიგნალები: „შეიცვალოს ქრომატოფორების ფორმა და განლაგება''. ასეთი ბრძანების შემდეგ სვიას კანზე უჩნდება ნახატი, რომელიც მან დაინახა: სილიან ფსკერზე იგი ერთი ფერისაა, კენჭიანზე კი – ჭრელი, ხალებიანი. მეცნიერები ასეთ შემთხვევაში ამბობენ, ნახატი ხედვით სახეს შეესაბამებაო.

ამრიგად, გამოდის, რომ ქამელეონის ქცევაში ცუდი არაფერი ყოფილა და ჩვენ სულ ტყუილად შეურაცხვყოფთ მას.






## კაკ-კუკ!

ძალიან მინდა მყავდეს ზღვის გოჭი, როგორც იქნა, მშობლებიც დავითანხმე, დამპირდნენ გიყიდითო. ოღონდ არ ვიცი, როგორ უნდა ავარჩიო, მეშინია ავადმყოფი ცხოველი არ შემომაპარონ.

*ნინი, 10 წლის.*

ზღვის გოჭის არჩევისას დააკვირდი, თუ მას ბეწვი უბზინავს, თვალები გახელილი აქვს და საჭმელს შეექცევამ, ეს იმას ნიშნავს, რომ შენი მომავალი სიმპათიური მეგობარი ჯანმრთელია და შეგიძლია სახლში წამოიყვანო. საერთოდ სასურველია, გოჭი პატარა ასაკის იყოს, მაგრამ თუ მოზრდილი ცხოველი შეგხვდა, არც ეს იდარდო.



ზღვის გოჭები მიმნდობები და მშვიდები არიან, ისე რომ მოზრდილი ცხოველიც მალე შეგეჩვევა. ხშირად მიუალერსე შენს პატარა მეგობარს, მძინარეს ნუ დააფრთხობ და სულ მალე ეს თავსაც მოგაფერებინებს და საჭმელსაც შენი ხელიდან სიამოვნებით შეჭამს ხოლმე.

## კაკ-კუკ!

იანვარში ჩემი დაბადების დღე იყო და მამამ აკვარიუმი და თევზები მაჩუქა, რითაც ძალიან გამახარა, მაგრამ ამ ერთ თვეში აკვარიუმი ძალიან დაბინძურდა, კედლები მომწვანო ლექით დაიფარა. მირჩიეთ, როგორ გავწმინდო აკვარიუმი?

*ელისაბედ კარგარეთელი, 9 წლის.*

აკვარიუმი სუფთად რომ გქონდეს, სულ არ არის საჭირო მისი წყლისგან მთლიანად დაცლა, ქვიშისა და კენჭების, კედლების ცხელი წყლით ან საპნით რეცხვა. საკმარისია თვეში ერთხელ ან ორჯერ გაწმინდო შუშის შიდა მხარე, გრუნტი კი დროდადრო სიფონით გაასუფთავო. თუ მრგვალი აკვარიუმი გაქვს, კედლები დაჭმუჭნული სქელი ქაღალდით ან რბილი ღრუბელით უნდა გაწმინდო. ბრტყელი შუშა კი საფხეკით იწმინდება. საფხეკის გაკეთება საკუთარი ხელითაც შეიძლება. ასევე ადვილია სიფონის გაკეთებაც. ამისათვის დაგჭირდება ორი მეტრის სიგრძის რეზინის მილი, მილის ბოლოში შუშის ძაბრი დაამაგრე, ძაბრიანი ბოლო აკვარიუმში ჩაუშვი, თავისუფალი ბოლო კი – ვედროში, ჭუჭყი წყალთან ერთად ძაბრით შეიწოვება და მილით ვედროში გადავა.



# რატომ ვამბობთ ასე?

### სირენა

დღეს სირენას უწოდებენ სასიგნალო საყვირს, რომელსაც გამყივარი ხმა აქვს და ხმარობენ გემებზე, სახანძრო მანქანებზე... ეს სახელწოდება ბერძნული მითოლოგიიდან მოდის. ბერძნები სირენას ეძახდნენ გრძნეულ არსებებს, რომლებიც თითქოსდა ხმელთაშუა ზღვის ერთ-ერთ კუნძულზე ცხოვრობდნენ, ტკბილი ხმით იტყუებდნენ ზღვაოსნებს და შემდეგ ღუპავდნენ.

ჰომეროსის „ოდისეა" მოგვითხრობს, თუ როგორ გადაირჩინა ოდისევსმა თავი სირენებისაგან, როდესაც ერთ-ერთი მოგზაურობის დროს მათ კუნძულს ჩაუარა. მან ცვილით ამოულესა ყურები ყველას, ვინც ხომალდზე იყო, თვითონ კი უბრძანა ანძაზე მიმაკარითო. როდესაც კუნძულს მიუახლოვდნენ, ოდისევსი ისე მოიხიბლა სირენების საოცარი გალობით, რომ ახსნა მოითხოვა. მაგრამ მეზღვაურებს ახსოვდათ ოდისევსის გაფრთხილება და კიდევ უფრო მაგრად მიაკრეს ანძაზე. სირენები კი, რომლებსაც სიცოცხლე მხოლოდ იქამდე შეეძლოთ, სანამ ვინმე გაუძლებდა მათ გალობას, ზღვაში გადაცვივდნენ და გაქვავდნენ. მეცნიერები დღემდე დაობენ, თუ რას განასახიერებენ ალეგორიულად სირენები: ოკეანის მოღალატეობრივ სიმშვიდეს, თუ სიმღერისა და ენამზეობის მაგიურ ძალას.

ასეა თუ ისე, სირენის ხმა რაღაც საფრთხესთან იყო დაკავშირებული. ამიტომაც ეს სახელი დაარქვეს საყვირებს. კერძოდ კი — შუქურებზე დადგმულ საყვირებს.

### კლასიკოსი

საყოველთაოდ აღიარებულ, სახელგანთქმულ მწერალს, კომპოზიტორს კლასიკოსს უწოდებენ. ამ სიტყვის ისტორია დაკავშირებულია ძველ რომთან, სადაც საზოგადოება ხუთ კლასად იყო დაყოფილი ქონებისდა მიხედვით.

ადამიანის ადგილი ამ კლასიფიკაციაში იმის მიხედვით ისაზღვრებოდა, თუ რომელ კლასს ეკუთვნოდა იგი. ის მოქალაქეები, რომლებიც პირველ კლასში შედიოდნენ, პრივილეგიურ მდგომარეობაში იყვნენ — ფაქტიურად ისინი წყვეტდნენ ყოველგვარ სახელმწიფოებრივ საქმეებს. ამ უმაღლეს კლასში შემავალთათვის დამკვიდრდა განსაკუთრებული სახელი — „კლასიკოსი".

შემდგომ, როდესაც ბერძენმა ფილოსოფოსებმა, რომლებიც ჰომეროსისა და სხვა მწერალთა ტექსტებზე მუშაობდნენ, მწერალთა სიები იგივე სახით შეადგინეს, როგორც რომში ადგენდნენ მოქალაქეთა სიებს, ყველაზე გამოჩენილი და სახელოვანი მწერლები პირველ კლასში — „კლასიკოსებში" შეიყვანეს.

ასე დამკვიდრდა ჯერ ბერძნულში, შემდეგ კი სხვა ენებში, მათ შორის ქართულშიც, სიტყვა „კლასიკოსი".

# სიტყვის კონა



ოქროცურვილი — ოქროთი დაფერილი.

ჩოლფოთი — დაგრეხილი წნელის რგოლი (ჩამოცმულია ურმის ღერძზე), თოხისა და მისთანების ყუაში ტარის ჩასამაგრებლად ჩაჭედილი სოლი.

ჩინჩხვარი — წვრილი, ხმელი ტოტები, წვრილი ფიჩხი.

ჩიბა, ციბა — „ასაკმცირე მაღლი" (საბა).

წიაქი — წივილი.

წმახე — მჟავე.

ჭოტი — პარკოსან მცენარეთა (ლობიოს, ცერცვის და სხვა) ნაყოფიანი პარკი.

ჭრაქი — უშუშო გასანათებელი მოწყობილობა, რომელიც შედგება ნავთის (ქონის) ჩასასხმელი ჭურჭლისა და პატრუქისაგან.

ხამუშ-ხამუშ — ხანგამოშვებით, დროდადრო

ხელადა — ფართოპირიანი და მრგვალმუცლიანი მომცრო თიხის ჭურჭელი.

## რა და რა ჰქვია რას და რას?



გობი



ვარცლი

შალვა ფიფია ჟურნალისტობაზე ოცნებობს და ალბათ ამიტომ უფრო გულმოდგინედ ჰუმანიტარულ საგნებში მეცადინეობს, თუმცა არც სხვა საგნებში მოიკოჭლებს. შალვა ძალიან ცელქი და მოუსვენარია, სულ მოძრაობს, სულ რაღაცას აკეთებს. მისი ასეთი ხასიათი რომ იციან, ყველას ძალიან გაუკვირდა, როცა შალვა ჭადრაკმა გაიტაცა, საათობით ფეხმოუცვლელად როგორ იჯდება დაფასთანო, მაგრამ ბიჭმა ისე შეიყვარა ეს თამაში, რომ ამას გატაცება აღარ ჰქვია. შალვა კალამსაც სცდის და თუმცა მის ლექსებს გარანდვა-დახვეწა სჭირდება, მათში აშკარად ჩანს ავტორის გულისთქმა და ფიქრები.

## ოქროშხერი



## წითელი ვარდი

ვარდო, ყვავილთა მეფეო,
გახდი სიმბოლო ახლისა,
ხალხმა გიბოძა ტიტული
სიხარულის და ნატვრისა.
დღეს ჩვენს მომავალს შენ განდობთ,
წითელო ვარდო ამაყო,
უიმედობა, ცრემლები
ხალხს აღარ უნდა ანახო.

***

ნეტავ, რა ბედი მეწევა,
რა მელოდება ხვალ?
როგორ ვიცხოვრებ, ვიშრომებ –
ამაზე ვფიქრობ კვლავ.



თბილისის 147-ე სკოლაში შესვლისას პირველი, ვისაც ხვდებიან მოსწავლეებიც და მასწავლებლებიც, კარისკაცი ანუ სკოლის დარაჯია. ბავშვების და უფროსების უმრავლესობამ მისი მხოლოდ სახელი იცის – შოთა. ერთხელ მოხდა ისე, რომ ჩვეული თავაზიანი სალმის შემდეგ ბატონმა შოთამ სიტყვა პოეზიაზე ჩამოაგდო, საუბარს შევყევით და ამ ადამიანში მე საქართველოს ისტორიის და ქართული პოეზიის საუკეთესო მცოდნე შევიცანი. ბოლოს გამოირკვა, რომ შოთა მელიქიძე თავადაც წერს ლექსებს. ძლივს დავითანხმე ერთი ლექსი მაინც მოეცა გამოსაქვეყნებლად. ალბათ ეს ლექსი თავად ბატონ შოთას გაახარებს, სკოლის მოსწავლე-მასწავლებლებს კი სასიამოვნოდ გააკვირვებს.

*მაია ქანთარია, პედაგოგი.*

## ვარძია

შენი სახელი ვის არ სმენია,
როგორ მაღლდები, როგორ მშვენდები,
ირგვლივ, მესხეთში მიმოფენილხარ,
და არასოდეს არ დაბერდები.
ვერ შეგაშინა მტრების მუქარამ,
დგახარ სიმაგრედ დიდი ხანია,
ის შავი ნისლი და მწუხარება,
შენს კედლებს დაბლა დაუტანია.
მე შენთან ახლოს ოდეს მოვედი,
მხოლოდ ერთ რამის ვიყავ მთხოვნელი –
საით წავიდა დიდი მგოსანი,
მას რომ ეტრფოდა – მზეთამზე თამარს?
აქ რა გრიგალმა გადაიარა,
შენ რომ დაგაჩნდა გულზე იარად?
ერი დაეძებს თამარს, ვარძიავ,
შენ ხომ იყავი იმ დროის მომსწრე,
გახსენი ბაგე, გვითხარ მართალი –
სად მოვიძიოთ ჩვენ მათი კვალი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტესტი თინეიჯერებისათვის

# ვინ ხარ შენ?

**შემოთავაზებული ფიგურებიდან აირჩიე ერთ-ერთი, რომელიც მოგეწონება და მიხვდები, ვინ ხარ, რა თვისებები გაქვს**



**კვადრატი** – შრომისმოყვარეობა, დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანის მოთხოვნილება, შეუპოვრობა, რომელიც ნებისმიერი სამუშაოს დამთავრებას უწყობს ხელს, – აი, რით გამოირჩევიან ჭეშმარიტი კვადრატები. გამძლეობის, მოთმინების და მეთოდურობის წყალობით კვადრატები თავის სფეროში საუკეთესო სპეციალისტები ხდებიან. კვადრატს უყვარს ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი წესრიგი. ყველაფერი თავის ადგილზე უნდა იდოს და ყველაფერი თავის დროზე უნდა ხდებოდეს. კვადრატის იდეალია დაგეგმილი, წინასწარ განჭვრეტილი ცხოვრება, მას არ უყვარს „სიურპრიზები" და ცვლილებები მოვლენათა ჩვეულ მსვლელობაში.

**მართკუთხედი** – პიროვნების დროებითი ფორმა, რომელსაც შეიძლება ატარებდნენ დანარჩენი მდგრადი ფიგურები სიცოცხლის გარკვეულ პერიოდებში. ესენი არიან ადამიანები, რომლებსაც არ აკმაყოფილებს ცხოვრების ის წესი, რომელსაც ახლა მისდევენ და ამიტომ უკეთეს მდგომარეობას ეძებენ. ამიტომაც მართკუთხედის წამყვანი ნიშან-თვისებებია – ცნობისმოყვარეობა, მცდელობა, გამბედაობა, ცხოველი ინტერესი ყოველივე იმისადმი, რაც ირგვლივ ხდება. ისინი მზად არიან ახალი იდეების, ფასეულობების, აზროვნების საშუალებისა და ცხოვრების აღსაქმელად და შესათვისებლად, ადვილად ითვისებენ ყოველივე ახალს.

**სამკუთხედი** – ეს ფიგურა ლიდერობის სიმბოლოა, ჭეშმარიტი სამკუთხედის მთავარი თვისება მთელი ყურადღებისა და ძალისხმევის მთავარ მიზანზე თავმოყრაა. სამკუთხედები ენერგიული, შეუპოვარი, ძლიერი პიროვნებები არიან, რომლებიც ისახავენ მიზანს და, როგორც წესი, აღწევენ კიდეც მას. ისინი პატივმოყვარეები და პრაგმატულები არიან, შეუძლიათ ზემდგომი ხელმძღვანელობის წინაშე საკუთარი და ხელქვეითების საქმიანობის მნიშვნელობის წარმოჩენა. იმის გამო, რომ სამკუთხედებს განვითარებული აქვთ ძლიერი მოთხოვნილება იყვნენ მართლები და მართონ მდგომარეობა, ისინი გამუდმებით მეტოქეობას და კონკურენციას უწევენ სხვებს.

**წრე** – ხუთი ფიგურიდან ყველაზე კეთილმოსურნეა. მას გააჩნია მაღალი მგრძნობიარობა, განვითარებული ემპათია – თანაგრძნობის უნარი. წრე საკუთარივით აღიქვამს და განიცდის სხვის ჭირსა და ლხინს. იგი ბედნიერია, როცა ყველა კარგ ურთიერთობაშია ერთმანეთთან. ამიტომაც როცა წრეს ვინმესთან კონფლიქტი უხდება, პირველი სწორედ ის თმობს ხოლმე. იგი ცდილობს საპირისპირო თვალსაზრისებშიც კი იპოვოს საერთო.

**ტეხილი** – ეს ფიგურა შემოქმედების სიმბოლოა. სრულიად განსხვავებული, საპირისპირო იდეების კომბინირება და ამ საფუძველზე რაღაც ახლის, ორიგინალურის შექმნა – აი რა მოსწონთ ტეხილებს. ისინი არასდროს არ კმაყოფილდებიან იმ საშუალებებითა და ხერხებით, რომელთა მეშვეობითაც ახლა კეთდება ან წარსულში კეთდებოდა ესა თუ ის რამ. ტეხილი ყველაზე აღტაცებული, ყველაზე აღგზნებადია მოცემულ ხუთ ფიგურას შორის, როცა მას ახალი და საინტერესო აზრი უჩნდება, იგი მზადაა მთელ ქვეყანას ამცნოს მის შესახებ. ტეხილები საკუთარი იდეების დაუცხრომელი მქადაგებლები არიან და ბევრის აყოლიებაც შეუძლიათ.

## თავთავები



მეხუთეკლასელმა გიორგი არონიამ კარგად იცის საქართველოს ისტორია, ქართველ მეფეთა და გმირთა დამსახურება ერის, ქვეყნის წინაშე. მან ძალიან კარგად იცის, რომ დიდი წინაპრების – გიორგი ბრწყინვალეს, გიორგი სააკაძეს მოსახელეა და ამაყობს ამით. სასახელო წინაპართაგან კი ყველაზე მეტ პატივს გიორგი ბრწყინვალეს სცემს. 11 წლის ბიჭს თავისთვისაც აქვს სამომავლო მეტსახელი შერჩეული „მქუხარე". ვნახოთ, როგორ იქუხებს მისი სახელი, ჯერჯერობით კი, მომავალი „გიორგი მქუხარე" წარჩინებით სწავლობს, ბევრს კითხულობს და კალამსაც სცდის. ლექსები, რომლებსაც დღეს გთავაზობთ, გიორგი არონიამ თავის მასწავლებელს და ბებია-ბაბუას მიუძღვნა.

### ჩემი სოფელი

ჩემი სოფელი არის ლამაზი,
იქ დავიბადე, იქ გავიზარდე,
ხშირად ჩავდივარ მშობლებთან ერთად,
ის მიმაჩნია მშობლიურ კერად.
მელოდებიან ბაბუ, ბებია,
იქაურობა სულს მირჩევნია,
ჩემს მუქავაზე უფრო ლამაზი
ქვეყნად სოფელი არ მეგულება.

### მასწავლებელი

პატივი ვცეთ მასწავლებელს,
ცოდნის თავანკარა წყაროს,
ჩვენ რომ საგანს კარგად ვსწავლობთ,
მასწავლებლის გული ხარობს.
დღიურში რომ „ხუთებია",
გულში ჩამიხუტებია,
ეს ხომ ჩვენი მასწავლებლის
სიხარულის წუთებია.

**იცნობდეთ**

### ანანო ქუხილავა



პირველკლასელი ანანო ექიმობაზე ოცნებობს, რომ გაიზრდება, ექიმი მერე გახდება, ჯერჯერობით კი კარგად წერას და კითხვას სწავლობს, თან ცეკვასა და სიმღერას ეუფლება.

**იცნობდეთ**

### ნანა და ნინო ციმინტიები



ნანას და ნინოს დედა ექიმია და შინ ყოველთვის დაღლილი ბრუნდება ხოლმე. გოგონები ყველანაირად ეხმარებიან მას, სახლსაც დალაგებულს ახვედრებენ, მარტივ კერძებსაც თვითონ აკეთებენ, ორივენი ფრიადოსნები არიან, ძალიან უყვართ მუსიკა, ცეკვა. ნინოს დედის პროფესია მოსწონს და ალბათ არჩევანს ექიმობაზე შეაჩერებს, ნანა კი ჟურნალისტობაზე ოცნებობს.

კომიქსი

# ახალი სმოლანდიის აღმოჩენა

მოგზაურისა და ბუნებისმეტყველის პროფესორ კლოპიდორ კუკოლკას მოგზაურობისა და მის მიერ ახალი სმოლანდიის აღმოჩენის შესახებ გვიამბობს ცნობილი შვედი მოგზაური როლფ ბლომბერგი. გთავაზობთ მის მიერ პაროდიის სტილში შეთხზულ ნაწარმოებს შემოკლებული სახით და შეგახსენებთ, რომ „ახალი სმოლანდიის აღმოჩენის“ ნახატების ავტორიც თავად რ. ბლომბერგი გახლავთ.



9

ის იყო დაღლილ-დაქანცული ბრინჯის ფაფის მოსახარშად მოვემზადე, რომ ცხვირზე ჩემთვის უცნობი აპოკოანფრთიანი მწერი დამაჯდა.



10

ფრთხილად, ისე რომ მწერი არ დამეფრთხო, პეპლის საჭერი ბადისკენ გავხოხდი, მაგრამ მწერი დაფრთხა და აფრინდა. გავეკიდე, ვეფხვივით ვისკუპე, მაგრამ ვერ დავიჭირე.



11

როგორ დავეწეოდი, მწერი საშინელი სისწრაფით მიფრინავდა. ანაზდად წინ, შორს შავ წერტილს მოვკარი თვალი - ადამიანი იყო!



12

მივუახლოვდი და დავინახე მოზარდი პაპუასის, რომელსაც ხელში ანკესი და თევზი ეჭირა, აშკარა იყო, რომ თევზაობიდან ბრუნდებოდა. მარჯვედ მოვიქნიე პეპლის საჭერი და თავზე ჩამოვაცვი.



13

ვიფიქრე, გამოველაპარაკები, ავუხსნი, რომ ერთი მშვიდობიანი მკვლევარი ვარ და მას არაფერს ვერჩი. ვიცოდი, რომ ველურებს ძალიან უყვართ ტკბილეული და მოსთაფლად შაქარყინული გავუწოდე, მაგრამ მოულოდნელად ველურმა ერთი დაიღმუვლა და ცხვირში ჩამაფრინდა.



14

ვიდრე მე ჩემს სისხლმდინარ ცხვირს მივხედავდი, იმ თავხედმა აიღო სიგარა, რომელიც მე ამ ჯაჯგურში მიწაზე დამივარდა და გულიანად გაბოლა.



15

აი, თურმე როგორ ადამიანები ცხოვრობენ ჩემ მიერ აღმოჩენილ კუნძულზე, რომელსაც ასეთი დიდებული სახელი ვუწოდე. არსად, სადაც კი მიმოგზაურია – აფრიკაში, ბორნეოზე, სამხრეთ ამერიკაში – ასე უდიერად არ მომპყრობიან, როგორც აქ, ახალ სმოლანდიაში. გონს რომ მოვედი, ის ყმაწვილი ველარსად დავინახე. რაღა გზა მქონდა, ცხვირგასიებული წამოვბორიალდი ბანაკში.



16

ღმერთო! რომ იცოდეთ, რა ამბავი დამხვდა იქ! იმ საძაგელ ახალსმოლანდიელს ყველაფერი ამოექოთებინა, კარგი მებაჟესავით შემოწმებინა თითოეული ნივთი.



17

თავხედი ჩემს ერთ-ერთ ყველაზე ძვირადღირებულ ჰავანურ სიგარას აბოლებდა და მაიმუნის ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა ყოველ საგანს, გავცოფდი, მზად ვიყავი, ვცემოდი, მაგრამ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საუბრები პოეზიაზე

# იაპონური პოეზიის

გვინდა პოეზიის საოცარ სამყაროში გიმეგზუროთ, განზრახული გვაქვს გაგაცნოთ მსოფლიო პოეზიის საუკეთესო ნიმუშები და ეს ახალი განყოფილებაც იმიტომ შემოვიღეთ ჟურნალში.

უნატიფესია იაპონური პოეზია; განუმეორებელი სისადავე, სიწრფელე, ბუნებრიობა და საგანთა განცდის სიღრმე ისევე გამოარჩევს მას, როგორც სრულიად თავისებური მხატვრული აზროვნება, საგანთა არსის გაგება და მსოფლმჭვრეტა გამოარჩევს სხვათაგან თავად იაპონელს.

იაპონური სულის სიფაქიზე, განსაცვიფრებელი კრძალვა მშვენიერებისადმი იგრძნობა საუკუნეთა წიაღში შობილ ყოველ „უტაშიც", 31 მარცვლიან „ტანკაშიც" და სულ ციცქნა, 18 მარცვლიან „ხოკუშიც" („უტა", „ტანკა" „ხოკუ" – იაპონური პოეზიის ჟანრებია); თითოეული ლექსი თავისებური პოეტური მინიატურაა, დახატული კალმის ერთი დახვეწილი მოსმით. მწყაზარი მთვარის სევდიან შუქზე, ზაფხულის წვიმებზე, ზამთრის სიმშვიდეზე, ალუბლებზე, გუგულებზე, ყვავილებზე, მწვანე ბალახზე, მთებზეა ამ ლექსებში საუბარი, ხოლო თითოეულ მხატვრულ სახეში, თითოეულ სიტყვაში ჩაქსოვილი აზრი, სიბრძნე სიმშვიდესა ჰგვრის ადამიანს, ყოველივეს წარმავლობას შეახსენებს და მაშასადამე, ამაოებას განარიდებს, უმაქნის ლექისგან ათავისუფლებს მის სულსა თუ გონებას, ბუნებასთან, მშვენიერებასთან შერწყმისკენ უბიძგებს, გარდაუვალ ჭეშმარიტებებს შეახსენებს.

გთავაზობთ იაპონური პოეზიის რამდენიმე ნიმუშს. შესაძლოა, ყველა თქვენგანი ბოლომდე ვერც ჩასწვდეს მის სიღრმეს, მაგრამ განუმეორებელ მომხიბლაობას რომ უთუოდ ყველანი იგრძნობთ, ეჭვი არ გვეპარება.

### ბერი დოგენი

გაზაფხული ჟამს ყვავილობა,
გუგული – ზაფხულ,
სთველში – მთოვარე.
ხოლო ზამთარში
თოვლი მსუსხავი და უწმინდესი.

### რიოკანა

ო, რაოდენი, რაოდენი ჟამი ეული
მე მოლოდინის
ფსკერზე ვიდოდი!
აჰა, ერთად ვართ...
რაღა დაგვრჩა საოცნებარი?

*თარგმნა*
*ჯარჯი ფხოველმა*

*X-XII საუკუნეების ტანკა*

### უცნობი ავტორი

როგორ დავიპყრო მისი გული,
როგორ დავტოვო
ჩემს ახლოს იგი
მომზირალი მუდამ პირიქით.
ო, ალუბლებო,
ყვავილებით მიწა დათოვეთ,
დაფარეთ ჩემგან წასასვლელი
ყველა ბილიკი.

### მასა ფუსა

კვირტები ჩუმად გამოიღო
და ჰა, აყვავდა
მთის ფერდობებზე ალუბალი
მაღალი მთისა.
დასცალდეს ნეტავ
არ მობუროს ჩემთა თვალთაგან,
არ მომიჩრდილოს ჭალებიდან
ამდგარმა ნისლმა.

### ბერად შემდგარი ვაზირთუხუცესი

ფიფქებივით რომ გაიფანტა
უეცარ ძრთოლვით,
განა ყვავილთა ფურცლებია
ველად მარები, დაბერებული,



ნაადრევად ჭაღარის თოვლით
ეს მე ვარ
წუთისოფლიდან რომ მივეჩქარები.

### ონო-ნო კომაჩი

ტყე განიძარცვა.
ხმა დაიღო შრიალა ყანამ,
ვარდები დაჭკნა,
გულშიც ჩაქრა ცეცხლი უშრეტი
ვიდრე უქმი
და ნებიერი ვიდოდი წყნარად
და უზრუნველად წუთისოფელს
შორით ვუჭვრეტდი.

### XVI-XVIII საუკუნეების ხოკუ

ცის ლაჟვარდოვან დასავალზე
კენარი ფიჭვი
შემოდგომის მთვარემ დახატა.

***

რა მდუმარეა დღეს ეს ბაღნარი!
კლდეთა გულამდე გაჟონილა
ჩუმი ჭრიჭინი...

***

ეს ველები და მთა-გორები
შეუმჩნევლად გაქურდა თოვლმა...
დაცარიელდა უცებ მიდამო.

***

შემოდგომის წვიმა და მწუხრი!
ჩემთან კი არა,
მეზობლისას დაჰკეცეს ქოლგა.

***

აჰა, საცაა ხე წაიქცევა!
ზედ კი ჩიტები უზრუნველად
თხზავენ ბუდეებს.

***

ანკარა წყარო.
უზალთუნები ბრწყინავენ ფსკერზე...
მგზავრს მოწყურებულს შიგ
ჩაბნევია.

*თარგმნა*
*თამაზ ჩხენკელმა*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახირებული მონარქები

### მხიარული მეფე

საფრანგეთის მეფე შარლ IX (1550-1574) იმით ერთობოდა, რომ სასახლეში გამართულ ბალებზე განთქმულ ჯიბის ქურდებს იწვევდა. იგი უყურებდა, როგორ აცლიდნენ ქურდები მის სტუმრებს ჯიბიდან ფულით სავსე ქისებს, როგორ ოსტატურად პარავდნენ ძვირფასეულობას და ამით ერთობოდა. მეფის ნებართვით ქურდები მთელ ნაქურდალს თავისთვის იტოვებდნენ.



### თურმე დროც იყიდება

რომის იმპერატორმა ვიტელიუსმა მეოთხედი მილიონი არ დაიშურა და იმდენი ქნა, რომ გალიის პროვინციის მთავარ ქურუმს, რომელიც გაზაფხული დასაწყისისა და დასასრულის დამდგენელი იყო, გამოსთხოვა თანხმობა ერთი წუთით გაეხანგრძლივებინა ჩვენი წელთაღრიცხვის 68 წლის გაზაფხული. ვიტელიუსი იკვეხნიდა, მე დრო ვიყიდე, რომლის არც გაყიდვა შეიძლება და არც ყიდვაო.

### ვერაგული ანდერძი

ფრანგი გრაფინია ელიზაბეტ-ანჟელიკა დე ბოუტვილი (1607-1696) 20 წლისა დაქვრივდა. მისმა მეუღლემ – სენლისის გუბერნატორმა დატოვა ანდერძი, რომლის თანახმადაც ქვრივობის პირველ წელს გრაფინიას 1 ოქროს მონეტა ეძლეოდა, ხოლო იმ პირობით თუ იგი აღარ გათხოვდებოდა, ყოველ მომდევნო წელს წინა წელთან შედარებით ორჯერ მეტი.

გრაფის ქვრივმა კიდევ 69 წელი იცოცხლა და ხელახლა აღარ გათხოვილა. ამ ხნის მანძილზე მან 147 573 952 314 798 506 112 ოქროს მონეტა მიიღო, ეს თანხა 737 კვინტილიონი თანამედროვე დოლარის ტოლია.

### ორი დღე ხელმოსაწერად

ლათინური იმპერიის ბოლო იმპერატორი (ჩვ.წ. XII ს. დედაქალაქი – კონსტანტინოპოლი) ბალდუინ II მისთვის დადგენილი რიტუალის შესაბამისად დოკუმენტებზე საკუთარი ხელმოწერის აღბეჭდვას ორ დღეს ანდომებდა. პირველ დღეს იგი თავის გვარის პირველ ნახევარს წერდა, მეორე დღეს – მეორეს.



### წელიწადში შეიძლება 14 თვეც იყოს

გალიის მმართველმა ლიცინიუმმა წელიწადი 14 თვედ დაყო, რათა ყოველწლიურად დამატებით კიდევ ორჯერ აეკრიფა ქვეშევრდომებისგან ყოველთვიური გადასახადი.



### ოქრომჭედელი დედოფალი

1849 წელს ინგლისის დედოფალ ვიქტორიას უდიდესი ალმასი „კოჰინური" მიართვეს საჩუქრად. საჩუქრით აღტაცებული დედოფალი სულ მალე საგონებელში ჩავარდა, ვერ გადაეწყვიტა, ვისთვის მიენდო ალმასის დახვეწა-დამუშავება. ხან რომელი ოქრომჭედელი შესთავაზეს, ხან რომელი, მაგრამ დედოფალმა ვერავის ანდო ალმასი, ყველა ოქრომჭედელი თაღლითიაო, განაცხადა და თვითონვე მიუჯდა ჩარხს. 38 დღის შემდეგ ალმასი დედოფლის ხელში ბრილიანტად იქცა.



### ტიტულოვანი ქურდბაცაცები

თურმე ნუ იტყვით, ტიტულოვანთა შორისაც ყოფილან ისეთები, ძვირფას სურათებსა და წიგნებს რომ იპარავდნენ. მაგალითად, ცნობილია, რომ პაპმა პავლე მეხუთემ, ბორგეზეს კაპელიდან რაფაელის სურათი მოიპარა, რომელიც ამჟამად ლუვრშია გამოფენილი. იტალიისა და ბურგუნდიის მეფე რუდოლფ მეორე, სტუმრად ყოფნისას მასპინძელთა ბიბლიოთეკიდან ძველ წიგნებს იპარავდა. კარდინალი მაზარინი, რომელიც პარიზიდან შორს იმყოფებოდა იმ დროს, როცა საფრანგეთის დედაქალაქში შვედეთის დედოფალი ქრისტინა სტუმრობდა, იძულებული გახდა ლუვრის მცველებისათვის მიეწერა: „გთხოვთ, არ შეუშვათ დედოფალი ჩემს ოთახში, იმიტომ რომ იგი უეჭველად მოიპარავს ძვირფას სურათებს".

### საზოგადოების ნაღები

ერთხელ პრუსიის მეფე ფრიდრიხ მეორე (XVIIIს) ქ. ბერლინის ციხეს ეწვია. პატიმრები ერთი მეორის მიყოლებით იყრიდნენ მუხლს მეფის წინაშე, შესჩიოდნენ და არწმუნებდნენ უდანაშაულოები ვართ და ტყუილად დაგვაპატიმრესო.

მხოლოდ ერთი პატიმარი იდგა მორიდებით განზე და ხმას არ იღებდა.

–შენ, – მიმართა მეფემ, – შენც შეცდომით მოხვდი აქ?

–არა, თქვენო აღმატებულებავ, მე დამსახურებულ სასჯელს ვიხდი, შეიარაღებული ძარცვისათვის ვარ გასამართლებული.

–ეჰეი, დაცვავ! – დაუძახა მონარქმა. – დაუყოვნებლივ გააგდეთ აქედან ეს ყაჩაღი, რათა თავისი აქ ყოფნით პატიოსანი ადამიანების საზოგადოება არ წაახდინოს!

### როგორც შევთანხმდით!

ძველ რომში ერთმა მთხოვნელამ მოჩვენებითი მზრუნველობითა და რიდით თავი მოაბეზრა კონსულ კრასს, ხომ არ შეგაწუხებ, დილით ადრე რომ მოვიდეო?

–არა, – უთხრა კრასმა.

–მაშ, უბრძანე, მე რომ მოვალ, გაგაღვიძონ.

–რისთვის? აკი ჩემი შეწუხება არ გინდოდა?

# ხიცილის გაკვეთილი

***

–იცი, მამა, ცირკში ერთი კაცი ვნახე, საოცარ რამეებს აკეთებდა, ცხენს ჯერ ზურგზე მოახტა, მერე ჩამოსრიალდა, მერე კუდში ჩაებღაუჭა და ბოლოს კისერზე მოექცა.

–ეგ სულ ადვილია, მე ცხენზე პირველად რომ შევჯექი, ეგ ყველაფერი მაშინ გავაკეთე.

***

კაცმა მდინარის პირად მეთევზე დაინახა და ხიდიდან ჩასძახა:

–როგორ მიგდით საქმე, ბედი თუ გიმართლებთ?

–მიმართლებს? რა ბრძანებაა! გუშინ აქ ერთი ორმოცი ქარიყლაპია მაინც დავიჭირე.

–აჰა, ასეა? იცით მე ვინა ვარ?

–არა, – მიუგო მეთევზემ.

–ვინ და ამ რაიონის მთავარი მოსამართლე და ამ მამულის, მაშასადამე, ამ მდინარის მეპატრონეც!

–ძალიან კარგი, ჩემო ბატონო, მაგრამ თქვენ თუ იცით, მე ვინა ვარ?! – არ დაიბნა მეთევზე.

–არა...

–ვინ და ყველაზე დიდი მატყუარა ამ ქვეყანაზე!

***

–აფსუს რომ სიმამაცისათვის ნიშანს არ წერენ, თორემ ასეთი ცუდი ნიშნების ჩვენება რომ გამიბედე, აუცილებლად ფრიადს დაიმსახურებდი, – უთხრა მამამ ვაჟიშვილს, რომელმაც მას საკუთარი დღიური შეამოწმებინა.

***

ვაიმარში ექსკურსანტები გოეთეს სახლ-მუზეუმს ათვალიერებდნენ. სანახავი ბევრი რამ იყო და დამთვალიერებლებიც დიდხანს დადიოდნენ ოთახებში. ერთ ქალს მოსწყინდა ამდენი სიარული და სკამზე ჩამოჯდა:

–ეგ გოეთეს სკამია და დაჯდომა არ შეიძლება, – გააფრთხილა ის მუზეუმის თანამშრომელმა.

–მერე რა, როცა მოვა, ავდგები, – მიუგო ქალმა.

***

მასწავლებელმა ბავშვებს სიტყვა „ცდუნების'' მნიშვნელობა აუხსნა და უფრო უკეთ რომ გაეგებინებინა, კონკრეტული მაგალითისათვის პიტერს ჰკითხა:

–აი, შენ არასოდეს აუტანიხარ ცდუნებას, ყულაბიდან დანით ფული



ამოგეღო?

–ჯერ არა, მაგრამ ნაღდად კარგი იდეაა, ბატონო მასწავლებელო.

***

–კარლ, არა გრცხვენია, რას ასწავლი ჩვენს თუთიყუშს?

–დედიკო, მე მარტო ის სიტყვები ჩამოვუთვალე, რომლებიც არ უნდა წარმოთქვას.

***

ქალბატონი დაიკე: ბატონო პროფესორო, მინდა, რომ ჩემს შვილს უცხოური ენა ასწავლოთ.

პროფესორი: სიამოვნებით, ოღონდ ისიც მითხარით, რომელი: ფრანგული, იტალიური, ესპანური?...

ქალბატონი დაიკე: მაგათში ყველაზე უცხოური რომელიც არის, ის.

***

სკოლაში ეზოს კუთხეში განცალკევებით დგას პატარა ბიჭი .

–მანდ რას აკეთებ? არ გინდა ჩვენთან ითამაშო? – შესთავაზეს თანატოლებმა.

–არა, არ მინდა თამაში, როცა ვთამაშობ, დასვენება მალე მთავრდება.

***

–გუშინ ბუკინისტურ მაღაზიაში ვიყიდე წიგნი „როგორ გავხდეთ მილიონერი'', მაგრამ შინ რომ გადავფურცლე, გვერდების ნახევარი ამოხეული აღმოჩნდა.

–მაგას დარდობ? ეგ არაფერი, ნახევარი მილიონით დაკმაყოფილდი.

***

–ბებია, „ბიბლიას'' რატომ კითხულობ? – ჰკითხა შვილიშვილმა.

–უკანასკნელი გამოცდისთვის ვემზადები შვილო.

***

მასწავლებელი: ადგეს ფეხზე ის, ვისაც თავი გამოუსწორებელ ყეყეჩად მიაჩნია!

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ფეხზე ერთადერთი მოსწავლე წამოდგა.

მასწავლებელი: ესე იგი, შენ მიგაჩნია, რომ ყეყეჩი ხარ?

მოსწავლე: მთლად ასე არ არის, მასწ, უბრალოდ, უხერხულია, რომ მარტო თქვენ დგახართ ფეხზე.

# იწილო-ბიწილო

## ხუთი, ხუთი და ექვსი

ამ ექვს სურათზე სხვადასხვა საგნები და გეომეტრიული ფიგურებია დახატული: ხუთი გასალები, ხუთი სამაგრი, ხუთი ჭიკარტი და ა.შ. მხოლოდ ერთი საგნის გამოხატულება გვხვდება ექვსჯერ. თუ ხუთ წუთში მიხვდები რომელია ეს საგანი კარგი მხედველობითი მეხსიერება გქონია.



## კროსვორდი



ვერტიკალურ სვეტებში ჩაწერეთ მუსიკალური საკრავების სახელები, ისე რომ მუქ ჰორიზონტალში მიიღოთ დიდი რუსი კომპოზიტორის სახელი და გვარი.

## რა გაუტყდათ?

იყო თორმეტ-თორმეტი თეფში, ფინჯანი, ლამბაქი, ქილა, ფუჟერი (მაღალფეხიანი ჭიქა), სირჩა (რუმკა), ჭიქა. ზოგი მათგანი ბავშვებს გაუტყდათ გარეცხვისას. აბა, თუ მიხვდებით რა გაუტყდათ?



## გადამალული განძი

ამ ნახატზე მიწისქვეშა ლაბირინთია გამოსახული. ერთ-ერთ ოთახში განძია გადამალული. განძის ძებნა უნდა დაიწყოთ ერთ-ერთი განაპირა ოთახიდან. ყველა კარი თითოჯერ უნდა უნდა გაიაროთ და კარი, რომელსაც ბოლოს გაივლით, განძსაცავის კარი იქნება.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს მომავალი

თბილისის მე–10 საშუალო სკოლა.



II კლასი, ხელმძღვანელი დალი გურგენიძე



II კლასი, ხელმძღვანელი ლალი მჭედლიძე



მარიამ იაშვილი



I კლასი, ხელმძღვანელი ნუნუ ლობჟანიძე

# საქართველოს მომავალი



687/10

რუსთავის
25-ე
საშუალო
სკოლა





თბილისის
175-ე საშუალო
სკოლა,
IV კლასი,
ხელმძღვანელი
**ლიანა ფხალაძე**